ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 88 (20879) — სამშაბათი, 14 თებერვალი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

ᲓᲦᲘᲡ ᲠᲘᲜᲘᲜᲒᲘᲡ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲛᲐᲒᲘᲓᲐ

● ᲘᲛᲘᲡ შესახებ, თუ როგორ იბრძვიან ახლა ადგილებზე სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის, ნეგატიური მოვლენების, მექრთამეობის, ნამატებების, გაფლანგვა-დატაცების წინააღმდეგ, მკითხველებს ესაუბრებიან საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ᲑᲔᲚᲐ ᲛᲐᲫᲐᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი ᲝᲗᲐᲠ ᲡᲣᲚᲐᲫᲔ, პარტიის თბილისის ორგანიზაციის გლდანის რაიკომის პირველი მდივანი ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ და რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ.

მე-2 გვ.

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

● ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘᲐ კაცი, რომელსაც მშობლიურ ადგილებში მხოლოდ სახელით იხსენიებენ, ერთ-ერთი ასეთია დანიელ მაღალაშვილი, ფოთის ძირძველი მკვიდრი, ქალაქის ერთ-ერთი უპირველესი საწარმოს გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელი ქარხნის დირექტორი — კაცი, რომელიც სჭირდება ქალაქს.

მე-3 გვ.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

● ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ პრეზიდიუმ-მინისტრის საპროგრამო სიტყვა.

● ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ სოციალიზმის ქვეყნებიდან.

მე-3 გვ.

ᲤᲐᲥᲢᲘ, ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ, ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

● „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ 1988 წლის ფოტოკონკურსში გამარჯვებულნი.

● ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ სსრ კავშირის გამსახკომში, რომელზეც გაიმართა საუბარი წიგნების ავტორთა ხარჯზე გამოცემის საკითხებზე.

მე-4 გვ.

ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲔᲑᲐᲡ

ᲕᲣᲨᲐᲮᲔᲚᲘᲡ დასაქმების და რაციონალურად გამოყენების საკითხები შეუნელებელი უურადღების ცენტრშია. შრომითი პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების აუცილებლობა გამომდინარეობს სკკპ XXVII ყრილობის და XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებიდან, პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებებიდან.

ამ მხრივ ბოლო ხანს ჩვენს რესპუბლიკაში დადებითი ტენდენციები დაინახა, დასაქმების მხრივ გარკვეული წინსვლა იგრძნობა და ამაში თავისი როლი, უწინარეს ყოვლისა, მრეწველობის შედარებით დაჩქარებულმა განვითარებამ შეასრულა. მიაქციეთ ყურადღება: უკანასკნელი თექვსმეტი წლის მანძილზე დასაქმებულთა რიცხვი საზოგადოებრივ მეურნეობებში 35,8 პროცენტით გაიზარდა, მხოლოდ შრომითი რესურსების მატებამ 21,1 პროცენტი შეადგინა. ესე იგი მუშაკთა რაოდენობის ზრდა რესპუბლიკის ეკონომიკაში პირად მეურნეობებში დასაქმებულთა ხარჯზე განხორციელდა. ამას ცხადყოფს, მაგალითად, 1980-1986 წლების მაჩვენებელთა ანალიზიც. ამ პერიოდში შრომითი რესურსების მატებამ 2,9 პროცენტი შეადგინა, დასაქმებულთა რიცხვმა კი მოიტანა 10,8 პროცენტით ამატება. ამ უკანასკნელის მიხედვით მივუთითებთ საშუალო საკავშირო მაჩვენებელს, ხოლო ცალკეულმა ქალაქებმა და რაიონებმა გაუსწრეს კიდეც მას.

მიმდინარე ხუთწლედის დამლევისათვის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შესაბამისად, მუშახელის დასაქმებით უნდა საშუალო საკავშირო მაჩვენებელს გადავეჯარბოთ. ამგვარად, რეალურად არსებული თავისუფალი შრომითი რესურსები ამოიწურება. არადა, საკავშირო ეკონომიკურ მონაცემებში ჩვენ რესპუბლიკას ინერციულად კვლავ ჯარი მუშახელის რეგიონად ასახელებენ ხოლმე.”

დასაქმების დონის შესწავლის მხრივ ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ რესპუბლიკის შრომახა და სოციალურ საკითხთა საბჭოს ეროვნული კომიტეტი ადგილობრივ საბჭოებთან ერთად ხოლოდ ერი მოცულობის საშუალო შესრულა. ამის შედეგად გამოვლინდა მუშახელის რეალური რეზერვი ასკენ, განათლების, პროფესიისა და სქესის მიხედვით.

ამ მონაცემების გათვალისწინებით მეთორმეტე ხუთწლედში შენდება 160 ახალი და განახლდება 250 მოქმედი სამრეწველო საწარმო, სადაც 80 ათასზე მეტი კაცი დასაქმდება. აქვე დავძენთ, რომ ახალ საწარმოთა შენებლობა და მოქმედთა რეკონსტრუქცია ეარში მუშახელის რაიონებში გაანაწილდება. ნავარაუდევია ასევე საწარმოთა ფილიალების აგება. სხვათა შორის, სადღესასწაულოს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში ეკონომი სამრეწველო საწარმოს ფილიალი უშვებს პროდუქციას.

მუშახელის დასაქმებისა და მატების პრობლემების გათვალისწინებით არის შედგენილი 2005 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სსრ საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების ძირითადი მიმართულებანი. ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ეფექტიანი ფაქტორია ნარმოების შედარებით პატარა ზომებით ორგანიზაციის შესაძლებლობა, რაც საშუალებას მოგვცემს დავასაქმოთ თავისუფალი მუშახელი პატარ-პატარა ქალაქებში, სოფლად არსებული დემოგრაფიული ვითარების დაურღვევად. ზემოხსენებული მიმართულებებით განსაზღვრულ 15 წელიწადში შრომის ნაყოფიერება სულ ცოტა 2,5-ჯერ უნდა ფაიზარდოს, ეს კი ნიშნავს, რომ 2005 წლისათვის, 1990 წლის წარმოების მოცულობის მიღწეული დონის შენარჩუნების პირობებში, საჭირო გახდება 2,5-ჯერ ნაკლები მუშახელი. თანაც, არასაწარმოო სფერო, მუიზედვად მისი განვითარების სწრაფი ტემპისა, შეძლებს დასაქმოს მატერიალური წარმოების დარგებიდან გამოთავისუფლებული მუშახელის მხოლოდ 23 პროცენტი. ყოველივე ეს განაპირობებს მატერიალური წარმოების შემდგომი განვითარების ახალ პროგრესულ მიმართულებათა გამონახვის გარდაუვალ აუცილებლობას.

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოება ხეზონების მიხედვით მუშაკების დასაქმების დიდი მერყეობით ხასიათდება. ამიტომ ხეზონებს შორის დასაქმებას ხელი უნდა შეუწყონ კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების კოოპერირებულმა წარმოებამ ინტენსიფიკაციამ, სამრეწველო საწარმოებმა. ამ მხრივ კარგი გამოცდილება შეიძინეს, მაგალითად, ვანისა და მაიაკოვსკის რაიონებში. სამწუხაროდ, ამ საკითხს ყველგან არ ექცევა სათანადო ყურადღება, რაც იმით აიხსნება, რომ სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელები ამით არ ინტერესდებიან.

გრძელდება მუშაობა სამრეწველო საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე გადასვლისათვის. ამ მხრივ გარკვეული ღონისძიებები განხორციელდა თბილისში, ჭუთაისში, რუსთავში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, ბაქოს, ახალციხისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

მუშახელის დასაქმების დონის ამაღლებას საგრძნობლად შეუწყო ხელი სოფლის მეურნეობაში საოჯახო და პირადი იჯარის დანერგვამ. შრომის ორგანიზაციის ამ ფორმით ახლა ათასობით ოჯახი მუშაობს. დამზმარე საწარმოების განვითარების მეობებით დამატებით დასაქმდა 18 ათასზე მეტი კაცი. ორჯერ და მეტად გაიზარდა არასრული საშუალო საუმუშაო დღითა და შინ დასაქმებულთა რიცხვი.

შარშან რესპუბლიკაში მუშახელის რიცხვი 3 ათასით გაიზარდა და ამჟამად მოსახლეობის 59 პროცენტს შეადგენს. შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადასვლასთან დაკავშირებით გაძლიერდა მუშახელის დარგთაშორისი გადანაწილება. სახელმწიფო სექტორის საწარმოო დარგებში მომუშავეთა რიცხვი 25 ათასით შემცირდა, არასაწარმოო დარგებში კი 8 ათასით იმატა. კოოპერატივებში და ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში ჩაბმულია 52 ათასი კაცი.

მართალია, დასაქმების მხრივ მივუახლოვდით საშუალო საკავშირო დონეს, მაგრამ სასურველი შედეგისათვის ჯერ არ მიგვიღწევია. სადღესასწაულო კვლავ მრავალი დაუსაქმებელია რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონში, მათ შორის დმანისის, ბოლნისის, გორის, ახალქალაქის, ახმეტის და მარნეულის რაიონებში. აჭარი სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები ნაკლებად ზრუნავენ დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნისათვის, არ აფორმებენ ხელშეკრულებებს სამინისტროებთან, უწყებებთან ახალი სამრეწველო ობიექტების მშენებლობისა და მოქმედთა რეკონსტრუქციაგაფართოებისათვის. ზემოხსენებულ რაიონებში მცხოვრები 27 ათასამდე დაუსაქმებელიდან მეთორმეტე ხუთწლედის მანძილზე მშენებარე სამრეწველო ობიექტებზე გეგმით უნდა დასაქმდეს მხოლოდ 2700 კაცი, მაგრამ არც ეს რიცხვი რეალური, რადგან ზოგიერთი ორგანიზაცია ვერ აშენებს დროულად გეგმით გათვალისწინებულ ობიექტებს.

ჭარბი მუშახელის რაიონებში სრულად ვერ იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს და ამით ირთულებენ მდგომარეობას. ერთცვლიან რეჟიმზე მუშაობენ, მაგალითად, „ისნის“ საწარმოო გაერთიანების ფილიალები ზესკილისა და ახალქალაქის რაიონებში, თბილისის „ბახტრიონის“ სამკერვალო-სატრიკოტაჟო გაერთიანების ფილიალი — ბოგდანოვკაში და ა. შ. საერთოდ, ჯერ კიდევ მცირეა იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებიც არასრული სამუშაო დღისა და კვირის გაჩამავლობაში მუშაობენ, საგრძნობლად არც შინ დასაქმებულთა რაოდენობა გაზრდილა. ნელა მიმდინარეობს საწარმოების მრავალცვლიან სამუშაო რეჟიმზე გადასვლა. მცირეა ცვლიანობის კოეფიციენტი მანქანათმშენებლობის კომპლექსის, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროთა საწარმოებში. ასეთი მოცდენების ერთ-ერთი მიზეზი კი ის არის, რომ არ ბუოფნით მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. თავისი საქმის ნამდვილი ოსტატების მომზადებას კი არ ექცევა სათანადო ყურადღება როგორც პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, ისე თვით საწარმოებში. კვალიფიციური კადრების შენარჩუნების საკითხი სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგებისა და ცალკეული საწარმოებისათვის პრობლემად რჩება.

სრულიადაც არ არის დამაკმაყოფილებელი მოსახლეობის ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში ჩაბმასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ტემპი რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში. შექმნილ კოოპერატივთა და ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში ჩაბმულთა საკმაოდ სოლიდური ნაწილი ქალაქ თბილისზე მოდის.

როგორც ცნობილია, სახალხო მეურნეობის დარგების, მათ შორის მრეწველობის, სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლასთან დაკავშირებით რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებიდან, სამმართველო აპარატებიდან უნდა გამოთავისუფლდეს 80 ათასი კაცი. ჰოდა, არც გამოთავისუფლებულთა დასაქმებასთან დაკავშირებული სამუშაოთა მსვლელობაა დამაკმაყოფილებელი. კერძოდ, ყველგან არ არის შემუშავებული საზოგადოებრივ წარმოებაში მათი ჩაბმის ღონისძიებანი. შრომითი მოწყობის ბიუროებს არა აქვთ ინფორმაციები იმის შესახებ, თუ რომელი საწარმოდან ან ორგანიზაციიდან რამდენი კაცია გამოთავისუფლებული, ვის რამდენი ვაკანტური ადგილი აქვს შემორჩენილი. შრომითი მოწყობის ბიუროებმა უთუოდ უნდა იცოდნენ, რა უშლის ხელს დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის ოპერატიული გამოვლენის, აღრიცხვისა და სამუშაოზე გაგზავნის მეთოდის დანერგვას.

ბევრ ქალაქსა და რაიონში ხელმძღვანელები სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდნენ მუშაკთა გამოთავისუფლების საკითხს და მიმდინარე წლის დამდეგისათვის თითქმის დაამთავრეს ეს პროცესი. საამისოდ აქტიურად იმოქმედეს, მაგალითად, ქ. ჭუთაისში, ფოთში, ბაოუმში, გეგეჭკორის, სიღნაღის, თეთრი წყაროს, ვანის და მაიაკოვსკის რაიონებში. სამაგალითოდ, შედარებით პასიურობენ ამ მხრივ ცხინვალში, თიანეთის, ხაშურისა და გარდაბნის რაიონებში.

იმ 32 სამინისტროდან და უწყებიდან, რომლებსაც უნდა განეხორციელებინათ გამოთავისუფლებასთან დაკავშირებული ღონისძიებანი, მთლიანად დაამთავრეს საქმე პუპროდუქტების, ფინანსთა, იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა, სათბობის და ფასების სახელმწიფო კომიტეტებმა. თავისუფლებულ მუშაკთა შრომითი მოწყობა მსუბუქი მრეწველობის, კავშირგაბმულობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებში. ჭიანურდება მუშაკთა გამოთავისუფლება და შრომითი მოწყობა სამშენებლო კომპლექსში, საბინაო-კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, სამომბრძოლო კოოპერაციის სისტემებში. ზემოხსენებული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები მოვალენი არიან გადაუდებელი ზომები მიიღონ ამ სამუშაოთა სასწრაფოდ დამთავრებისათვის.

გაფართოვდა მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ბიუროების რაოდენობა. შარშან შუა ნოემბერში შეიქმნა მოსახლეობის შრომითი მოწყობის, ხელახალი სწავლებისა და პროფორიენტაციის ცენტრი და 24 ბიური. გასული წლის სამი კვარტალის მანძილზე ამ ორგანოებს დახმარება სთხოვა 68 ათასზე მეტმა კაცმა, რომელთაგან 59 ათასზე მეტმა შეარჩია კიდეც სამუშაო ადგილი.

როგორც ვხედავთ, მუშახელის დასაქმების მხრივ ბევრი პრობლემაა, რომელთა გადაჭრა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების უურადღების ცენტრში უნდა მოექცეს.

ᲓᲔᲠᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ



ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲙᲐ

ᲐᲘ, ეს არის მთავარი იდეა, რომელსაც პროპაგანდას უწევს ცნობილი საბჭოთა ნოვატორი პედაგოგი შალვა ამონაშვილი. დიდი ხანი არ არის, რაც იგი ექსპერიმენტული სამეცნიერო-პედაგოგიური გაერთიანების მეთაური გახდა. ამ გაერთიანებაში შევიდა გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სკოლები, სპორტული კომპლექსები და საბავშვო დაწესებულებები.

შალვა ამონაშვილი, როგორც ვ. ა. სუხომლინსკის ტრადიციების გამგრძელებელი, გვიჩვენებს, რომ პედაგოგიური პროცესი უნდა იიგოს ჰუმანიზაციის პრინციპებზე. ამ ცოტა ხნის წინათ, ტელემაყურებელთა მილიონნახევარ აუდიტორიასთან შეხვედრისას, მეცნიერმა ჩამოაყალიბა თავისი ძირითადი პრინციპები: სწავლება უნდა იყოს მხიარული, სიამოვნების მომნიჭებელი, უნდა გავაადამიანუროთ ეს პროცესი. მთავარია ერთი რამ: მასწავლებელს უნდა სჯეროდეს თავისი მოსწავლეების. შ. ამონაშვილის წიგნები სამაგიდო გახდა არა მარტო პედაგოგთა ახალგაზრდა თაობისათვის, არამედ მშრომელებისთვისაც. ამ წიგნებმა ერთგვარი ხიდი გადო ოჯახსა და სკოლას შორის.

სსრ კავშირის პროფესიულმა კავშირებმა შალვა ამონაშვილი სახალხო დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: შ. ამონაშვილი გაკვეთილზე თბილისის პირველ ექსპერიმენტულ საშუალო სკოლაში.

ა. რუხაძის (საკდესის ფოტოქრონიკა) ფოტო.

ᲓᲘᲓᲘ ᲜᲓᲝᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲠᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ

ᲡᲐᲝᲚᲥᲝ საარჩევნო კომისიების სხდომებზე გრძელდება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია ტერიტორიულ და ეროვნულ-ტერიტორიულ ოლქებში.

№ 172 გეგეჭკორის ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე; რესპუბლიკის სახაგრომრეწვიის თავმჯდომარე, 1932 წელს დაბადებული, **ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲐᲕᲘᲗᲝᲡ ᲫᲔ ᲛᲔᲓᲔᲚᲐᲫᲔ.**

ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ორლოვკის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, 1937 წელს დაბადებული **ᲡᲔᲠᲒᲘ ᲘᲐᲒᲝᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲘᲠᲘᲪᲘᲐᲜᲘ** და ახალქალაქის რაიონის ჩამდურის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, 1936 წელს დაბადებული **ᲛᲘᲮᲔᲜᲙᲐ ᲕᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲝᲛᲐᲜᲘᲫᲔᲡᲘᲐᲜᲘ** რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატად № 168 ახალქალაქის ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში.

№740 ლენინგორის ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, მოქანდაკე, 1929 წელს დაბადებული **ᲛᲘᲠᲐᲑ ᲘᲡᲘᲓᲝᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲑᲘᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

(საკინფორმი).

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲪᲘ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲠᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲗᲐᲜ

ᲡᲡᲠ კავშირის სახალხო არტისტის სულხან ცინცაძის სახელი კარგადაა ცნობილი, და არა მხოლოდ ჩვენ ქვეყანაში. მან პოპულარობა მოიპოვა თავისი ნიჭით ხალხურ შემოქმედებაში რომ გაუდგამს ღრმად ფესვები, რომელიც ასაზრდოებს კომპოზიტორს და შთააგონებს მას. ერთგულად ემსახურება ხელოვანი ხალხის ინტერესებს, რასაც ადასტურებს მისი მრავალი წლის შემოქმედებითი, სამასწავლებლო და საზოგადოებრივი საქმიანობა. სწორედ ამან განსაზღვრა ის, რომ სულხან თეოდორეს ძე ცინცაძე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ქვეყნის კომპოზიტორთა კავშირისაგან.

რუსთავის სამუსიკო სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ქალაქის შემოქმედებითის საზოგადოებრიობასთან დეპუტატობის კანდიდატის შეხვედრა. კომპოზიტორის დიდი და მრავალმხრივ მოღვაწეობაზე დამსწრეთ მოუთხრო კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა, მუსიკათმცოდნე მ. ფიჩხაძემ. მაგრამ ამ წარდგინების გარეშეც კარგად იცნობენ სულხან ცინცაძეს სასწავლებლის კოლექტივში. მრავალ მის მასწავლებელს თბილისის კონსერვატორიაში ასწავლიდა პროფესორი ცინცაძე, მის ნაწარმოებებს ასრულებენ მოსწავლეები.

დეპუტატობის კანდიდატმა ჩამოაყალიბა თავისი საარჩევნო პლატფორმა. სულხან ცინცაძემ დამსწრეთ დაწვრილებით გააცნო შემოქმედი კადრების მომზადების სრულყოფის გეგმები და პროგრამა. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში, ხაზგასმით აღნიშნა მან, უადგილო რაოდენობრივი მაჩვენებელი. უწინარეს ყოვლისა უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კომპოზიტორული ნიჭით დაჯილდოებული არც ერთი ახალგაზრდა არ დარჩეს უყურადღებოდ. გზა უნდა გადავუღობოთ უოიმღვამობას მუსიკალურ ხელოვნებაში. მუსიკა ხომ დიდად განსაზღვრავს ეროვნული კულტურების მდგომარეობას. სულხან ცინცაძემ დაისახა ამოცანად მიაღწიოს იმას, რომ მოიხსნას შეზღუდვა სამუსიკო უმაღლესი სასწავლებლის სკოლმპოზიციო გახყოფილებებზე აბიტურიენტთა მიღებისას. ეროვნადერთი „საშვი“ აქ ნიჭი უნდა იყოს.

დეპუტატობის კანდიდატთან შეხვედრა დამთავრდა მისი ნაწარმოებების კონცერტით. პირველად მსმენელის სამსჯავროზე წარმოადგინეს რვა მინიატურა ქართული ხალხური სიმღერების თემებზე ავტორისა და რესპუბლიკის სახელმწიფოს სამხატვრო აკადემიის ეფექტიანობა, როგორ უნდა გაძლიერდეს რადიკალური ეკონომიკური რეფორმის პირობებში საწარმოებისა და ორგანიზაციების სპეციალისტებისა და მუშების, ხელმძღვანელების როლი და შრომის შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობა. თუმცა რკინიგზის ტრანსპორტმა ბოლო წლებში უფრო სტაბილური მუშაობა დაიწყო, მისი ბევრი პრობლემა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გადაჭრილი. როგორც თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა ნ. ი. რიჟკოვმა, ეს უწინარეს ყოვლისა ეხება მატარებლებში და სადგურებში მგზავრთა მომსახურების ხარისხს. შესამჩნევი ძვრები ამ საქმეში ჯერჯერობით არ ხდება და რკინიგზელები კვლავ დიდ ვალში არიან ხალხის წინაშე.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, გარდაქმნის ახლანდელ პასუხსაგებ პერიოდში სულ უფრო წინა პლანზე იწევს მართვის ეკონომიკური მეთოდების ფართო გამოყენება, მოსახლეობის მომსახურებისათვის რკინიგზის ტრანსპორტისა და მეტროპოლიტენების, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შუშობის ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესება.

1988 წლის 1 იანვრიდან დარგი სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში შუშობს. ამან დადებითი გავლენა მოახდინა მუშობის შედეგებზე, საერთოდ საწარმოებისა და დარგების ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებაზე.

ᲨᲔᲞᲘᲠᲐ�პᲘᲠᲔᲑᲐ ᲝᲠᲑᲘᲢᲐᲖᲔ

ᲡᲐᲥᲚᲔᲡᲘᲡ, ᲪᲜᲝᲑᲐ

1989 წლის 12 თებერვალს მოსკოვის დროით 13 საათსა და 30 წუთზე „პროგრეს-40“ სატვირთო ხომალდი შეუპირაპირდა „მირ“ პილოტირებულ კომპლექსს.

ურთიერთძიება, მიახლოება, მიდგომა და შეპირაპირება სრულდებოდა საბორტო ავტომატიკის საშუალებით. ამ პროცესს აკონტროლებდნენ ფრენის მართვის ცენტრი მიწისზედა საკომანდო-გასაზომ კომპლექსთან თანამოქმედებით, აგრეთვე კოსმონავტები ვოლკოვი, კრიკალიოვი და პოლიაკოვი.

„პროგრეს-40“ ხომალდი კომპლექსს შეუპირაპირდა „კვანტ“ მოდულის მხრიდან, კომპლექსში მიტანილია სათბობი სადგურის გაერთიანებული ძრავისათვის, პროდუქტები, წყალი, მოწყობილობა, აპარატურა, აგრეთვე ფოსტა.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებისა და ეკიპაჟის მოხსენების თანახმად, „მირ“ პილოტირებული კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. ალექსანდრე ვოლკოვი, სერგი კრიკალიოვი და ვალერი პოლიაკოვი თავს კარგად გრძნობენ.

„ᲤᲝᲑᲝᲡᲘᲡ“ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲝᲠᲑᲘᲢᲐᲖᲔ

ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 12 თებერვალი. (საკდესი). ავტომატური საპლანეტთაშორისო სადგური „ფობოსი“, რომელიც 29 იანვარს მარსის ხელოვნური თანამგზავრი გახდა, გადაყვანილია ახალ შუალედურ ორბიტაზე, განხორციელდა მორიგი მანევრი, რომელიც უზრუნველყოფს „ფობოსთან“ კოსმოსური აპარატის თანდათანობით მიახლოებას.

ფრენის პროგრამის შესაბამისად, 12 თებერვალს მოსკოვის დროით 16 საათზე სადგურში ჩაირთო ძრავა, რომელმაც მას მიანიჭა დამატებითი დაჩქარება და უზრუნველყო გადაყვანა ახალ ელიფსურ ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი მარსის ზედაპირიდან (აპოცენტრი) — 81200 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი მარსის ზედაპირიდან (პერიცენტრი) — 6400 კილომეტრი;

— დახრილობა მარსის ეკვატორის სიბრტყისადმი — 0,9 გრადუსი;

— პლანეტის გარშემოვლის პერიოდი — 86,5 საათი.

ამ ორბიტით ფრენის მსვლელობაში სადგურიდან გაგრძელდება 1 თებერვალს დაწყებული და 5,8 და 11 თებერვალს მოწყობილი მარსის ზედაპირისა და ატმოსფეროს, აგრეთვე პლანეტის ირგვლივ კოსმოსური სივრცის კომპლექსური კვლევა.

სადგურის მოძრაობის პარამეტრების დაზუსტების შემდეგ იგი გადაყვანილი იქნება წრიულ ორბიტაზე რადიუსით, რომელიც 200-300 კილომეტრით აღემატება „ფობოსის“ ორბიტის სიმაღლეს. ამ მანძილიდან კოსმოსური აპარატიდან მოეწყობა „ფობოსის“ მდებარეობის ავტონომიური ნავიგაციური გაზომვა მარსის ამ თანამგზავრთან სადგურის შემდგომი მიახლოების მიზნით.

ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

ᲐᲡᲘᲐᲗᲐᲡᲝᲒᲘᲗ ადამიანის შრომა უზრუნველყოფს ქვეყნის ფოლადის მგალიტრალების სადღეღამისო ფუნქციონირებას. ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, თითოეული რეგიონისა და სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ნორმალური საქმიანობა, ხალხის კეთილდღეობა დამოკიდებულია მგზავრების შეუფერხებელ გადაყვანაზე, სათბობის, ნედლეულისა და საშენი მასალების, სურსათისა და სახალხო მოხმარების საქონლის დროულ მიწოდებაზე. რკინიგზების წილად მოდის ქვეყნის მთელი შიდა ტვირთბრუნვის დაახლოებით ორი მესამედი.

რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის საკითხების ფართო კომპლექსი განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ი. რიჟკოვისა და ქვეყნის რკინიგზებისა და მეტროპოლიტენების, სახალხო მეურნეობის ამ დარგის სარემონტო ქარხნების უფროსების, მეცნიერების, სსრ კავშირის გზათა სამინისტროს კოლეგიის წევრების 10 თებერვალს გამართულ შეხვედრაზე.

გაიმართა საფუძვლიანი აზრთა გაზიარება რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობისა და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაიზარდოს დარგში არსებული საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის საფუძველზე სატრანსპორტო კონვეიერის ეფექტიანობა, როგორ უნდა გაძლიერდეს რადიკალური ეკონომიკური რეფორმის პირობებში საწარმოებისა და ორგანიზაციების სპეციალისტებისა და მუშების, ხელმძღვანელების როლი და შრომის შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობა. თუმცა რკინიგზის ტრანსპორტმა ბოლო წლებში უფრო სტაბილური მუშაობა დაიწყო, მისი ბევრი პრობლემა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გადაჭრილი. როგორც თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა ნ. ი. რიჟკოვმა, ეს უწინარეს ყოვლისა ეხება მატარებლებში და სადგურებში მგზავრთა მომსახურების ხარისხს. შესამჩნევი ძვრები ამ საქმეში ჯერჯერობით არ ხდება და რკინიგზელები კვლავ დიდ ვალში არიან ხალხის წინაშე.

ამავე დროს თათბირზე აღინიშნა, რომ მთელი რიგი რკინიგზების მუშაობაში სერიოზული შეფერხებანია, რის გამოც მომხმარებელი დროულად ვერ იღებს საქონელს. გაუგზავნელი ტვირთის, უწინარეს ყოვლისა ქვანახშირის, ხე-ტყის, ნავთობპროდუქტების, სასუქის, მეტალურგიული მადნის ნედლეულის ნარჩენები ნორმატიულს აღემატება, მოდის საჩივრები იმის გამო, რომ საწარმოებიდან დროულად არ გააქვთ მზა პროდუქცია.

შეზეიდრის შედეგების შეჯამებისას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თავი უნდა მოვუყაროთ დარგის შინაგან რეზერვებს, რათა დაჩქარებით გადავკრთ მის წინაშე დასახული სოციალური და საწარმოო ამოცანები. გამოითქვა აგრეთვე მრავალი მოსაზრება საჭირო ტექნიკური საშუალებებითა და მატერიალური რესურსებით რკინიგზის ტრანსპორტის უზრუნველყოფის საკითხებზე, კერძოდ სამხედრო წარმოების კონვერსიის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მი

ფესი, რიგი და ჩვენ

სოციალისტური საკუთრებისა და საზოგადოებრივი ქონების დაცვას დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ეკონომიკური რეფორმის, სამეურნეო ანგარიშის, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პირობებში ეს აუცილებელს ხუცილებელია. თუ როგორ იბრძვიან ახლა ადგილებზე სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის, ნეგატიური მოვლენების, მექრთამეობის, ნამატებების, გაფლანგვა-დატაცების წინააღმდეგ, გაზეთ „კომუნისტის“ მრგვალ მაგიდასთან ამაზე მკითხველებს ესაუბრებიან საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ბელა მაჟაშვილი, საქართველოს სსრ ადგილმრეწველობის მინისტრი ოთარ სულაძე, პარტიის თბილისის ორგანიზაციის გლდანის რაიკომის პირველი მდივანი ალექსი გოცირიძე და რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი თენგიზ მახარაძე.

კორესპონდენტი: ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის უთუოდ საინტერესო იქნება მოკლედ გავაცნოთ, თუ როგორი მდგომარეობაა სოციალისტური საკუთრების დაცვის თვალსაზრისით იმ დარგებში, უწყებებში, ორგანიზაციებში, რომლებსაც თქვენ ხელმძღვანელობთ. კონკრეტულად რა კეთდება ისეთი მანკიერი მოვლენების აღმოსაფხვრელად, როგორია გაფლანგვა, დატაცება, წამატებები, მექრთამეობა და სხვა. რაღა თქმა უნდა, ამ დიალოგში შეუძლებელია არ შეეხოთ კერძოსაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხსაც.

ბელა მაჟაშვილი: მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობის მუდმივი თვალთახედვის არეშია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვა-პატრონობა, მდგომარეობა მაინც არასასარბიელოა. უსტატისტიკოდ, ალბათ, ამ კითხვას ვერ ვუპასუხებთ. ანგარიშგების მიხედვით, ჩვენი სამინისტროს სისტემის საწარმოებში შარშან ასეთი 25 შემთხვევა გამოვლინდა, დაიტაცეს 643,7 ათასი მანეთის მატერიალური ფასეულობა. იყო ფულადი სახსრების უკანონოდ ხარჯვის შემთხვევებიც.

თბილისის მაუდ-კამეოლის კომბინატ„ „საბჭოთა საქართველოში“ გაჩენილმა ხანძარმა დიდი მატერიალური ზარალი მოგვაყენა. დაიწვა და განადგურდა 1931,4 ათასი მანეთის ბამი ქსოვილი და ხელოვნური ბოჭკო. მზა პროდუქციის საწყობში ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა 633,8 ათასი მანეთის დანაკლისი, რომლის მიზეზსაც საგამოძიებო ორგანოები სწავლობენ.

შარშან დეკემბერში თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკიდან დაიტაცეს 45,9 ათასი მანეთის ბეწვის საყელოები, ხოლო ზუგდიდის სამკერვალო ფაბრიკიდან მოიპარეს 4,5 ათასი მანეთის საკერავი მანქანები. ზაფხულში ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის მუშებმა დაიტაცეს 813 მანეთის 4 კასრი ქიმიკატები. სოხუმის სამკერვალო ფაბრიკაში ჩატარებულმა რევიზიამ 2,7 ათასი მანეთის ქსოვილების დანაკლისი გამოავლინა. თბილისის ტყავის საწარმოო გაერთიანებაში მუშა-მოსამსახურეებზე ხელფასისა და პრემიის სახით უკანონოდ გასცეს 5,9 ათასი მანეთი. ასევე თბილისის დამხმარე საწარმოთა კომბინატში — 8,9 ათასი მანეთი და ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისანში“ — 3,0 ათასი მანეთი.

როგორც ხედავთ, ფაქტი ბევრია, დასკვნა კი ერთი: შრომითს კოლექტივებში არ იგრძნობა კერძოსაკუთრული ფსიქოლოგიის დაძლევა და სოციალისტური საკუთრების ხელყოფის აღკვეთა. ჯერ კიდევ სუსტია ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ქმედითობა. ვერა და ვერ აღმოიფხვრა სისტემაში წვრილმანი ქურდობა. მარტო შარშან აღნუსხულია 1759 ასეთი ფაქტი. ნიშანდობლივია ისიც, რომ წვრილმანი ქურდობა ერთსა და იმავე საწარმოებში ხდება.

ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დადებითი ტენდენცია, რომელიც საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლამ მოგვცა. თვითდაფინანსებამ და თვითმმართველობამ ხელი შეუწყო წარმოების რეალურ დაგზგმას, შესრულების უკეთ ორგანიზაციას, რამაც მკვეთრად შეამცირა წამატებებისა და თვალის ახვევის ფაქტები.

ოთარ სულაძე: სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ხელყოფის თვალსაზრისით სამინისტროს სისტემაში ცუდი ვითარება შეიქმნა. ზოგიერთ ქვესაუწყებო საწარმოში ჯერ კიდევ არის ფასეულობათა დანაკლისებისა და დატაცების ფაქტები, რაც ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ ადგილებზე ნაკლები ყურადღება ექცევა სოციალისტური საკუთრების დაცვა-პატრონობის საკითხებს, ხშირად ხელმძღვანელ და მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე ხვდებიან არაკომპეტენტური და შეუმოწმებელი პირები და სხვა. მაგალითად, დმანისის რაისამრეწველო კომბინატის დირექტორი ყურბანოვი და მთავარი ბუღალტერი ალიევი ნაცვლად იმისა, რომ უზრუნველეყოთ სოციალისტური საკუთრების სიმდიდრე დაცვა-შენახვა, თვითონ დაადგნენ დანაშაულის გზას და 8 ათას მანეთზე მეტი ხელფასი დაიტაცეს ყალბი უწყისების გამოწერის გზით, ანდა, ავიღოთ საჩხერის რაისამრეწველო კომბინატი. ამ კომბინატში მომარაგების განყოფილების უფროსად მიიღეს ვინმე ქემერტელიძე. სამკერვალო საამქროს მთელ საქმიანობას იგი წარმართავდა და არა საამქროს უფროსი. სტანდარტების დარღვევით, გამოშვებულ პროდუქციაზე ქსოვილების ყალბი ჩამოწერით და სხვა ხერხებით, კომბინატის ხელმძღვანელობის წაყრუებისა და უკონტროლობის პირობებში, მან 265 ათასი მანეთის ქსოვილები დაიტაცა.

ალექსი გოცირიძე: პრობლემები, რომლებიც რაიონული კომიტეტის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საკმარისზე მეტია, მაგრამ დამეთანხმებით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მმართველება პარტიის პოლიტიკაში მორალურ-ზნეობრივი ატმოსფეროს გაუმჯობესებაა. აქ ზედმეტად მძიმენია შეეხოთ წარსულს და გამომწყვეტ მიზეზებს, რაც საკმარისად შუქდება, როგორც პრესის, ასევე ტელევიზიის საშუალებით. დასკვნებიც უხვად გვაქვს, მაგრამ რაიონულ კომიტეტს აუცილებლად მიაჩნია აქედან გამომდინარე მუშაობის სწორი მეთოდებისა და ფორმების დანერგვა, რაც დამყარება ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნის, მუშაობის სტილის, სრული საჯაროობის მაქსიმალურ გატარების, სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრების მოწოდებას. ასევე აუცილებელია გამოინახოს ეფექტური მუშაობის სისტემა, წყებებთან და სამართლებრივ ორგანოებთან ურთიერთობის მეთოდები.

ჩვენ შორს ვდგავართ იმ აზრისაგან, რომ ყველაფერი ნათელ ფერებში წარმოვიდგინოთ, დიდი დარღვევა მოხდა შამპანური ღვინოების ქარხანაში, არასასურველი ფაქტები იყო ჩაის საწონ ფაბრიკაში, რაიონის სპეციალტომეურნეობაში, კომბინატ „ბახმაროში“. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ფაქტი ადგილზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ღია კრებების მსჯელობის საგნად იქცა. ჩამოყალიბდა ღონისძიებათა მთელი სისტემა, მიმდინარეობს სისტემატური კონტროლი და განხილვა, რამაც ნაყოფი გამოიღო. შარშან რაიონში სახელმწიფო საკუთრების დატაცების არც ერთი შემთხვევა არ გვქონია. საწარმოებში თვით კოლექტივის წევრები დაირაზმნენ ასეთი ფაქტების აღმოსაფხვრელად. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ღონისძიებები მაინც ჩვენგან, ზემოდან იყო ნაკარნახევი. დღეს აუცილებელია თვით კოლექტივიდან, მისი წევრებიდან მოდიოდეს ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტის და, რაც მთავარია, ბრძოლისადმი მისწრაფების სურვილი, ემყარებოდეს იგი თვითშეგნების ამაღლებას. აქ კი ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი, ამის ნათელი მაგალითია წვრილმანი დატაცების ფაქტების საკმაოდ დიდი რაოდენობა, შარშან 265 ასეთი შემთხვევა იყო რაიონში, თანხამ 1750 მანეთი შეადგინა. ეს ფაქტები უმეტესად შრომითმა კოლექტივებმა გამოავლინეს. გატარებულია შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიებები, მაგრამ დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ დარღვევათა დიდი ნაწილი

„კომუნისტის“ მრგვალ მაგიდასთან

შეურიგებლად ვებრძოლოთ ანგარების ყოველგვარ გამოვლინებას!

ბელა მაჟაშვილი.

ოთარ სულაძე.

ალექსი გოცირიძე.

თენგიზ მახარაძე.

აგრომრეწვის და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს ეხება. უწყებებმა ჩვენთან ერთად კომპლექსურად უნდა განიხილონ საწარმოებში შექმნილი მდგომარეობა და გაანალიზონ მიზეზები.

თენგიზ მახარაძე: ამას წინათ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე, რომელზეც განიხილეს მექრთამეობის, კორუფციის, დატაცების და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა, აღინიშნა, რომ მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა, სამეურნეო ორგანოების მუშაობა არ შეესაბამება გარდაქმნის ამოცანებს.

სამინისტროები და უწყებები დამაკმაყოფილებლად ვერ ასრულებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნებს დატაცების, თანამდებობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების ღონისძიებათა მწყობრი სისტემის შექმნის შესახებ.

სწორედ ამის შედეგია, რომ ადგილობრივი და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებიც გავრცელებულია კორუფცია, დატაცებები და სხვა ბოროტმოქმედებანი; რაც მშრომელთა სამართლიან გულისწყრომას იწვევს, გაბრწყინდ გავლენას ახდენს ახალგაზრდობაზე.

რესპუბლიკის პროკურატურის მიერ საერთო ზედამხედველობის ნაზით ჩატარებულმა შემოწმებებმა, საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა, მაკონტროლებელი ორგანოების მონაცემებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ადგილობრივი და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელების მხრივ კონტროლის შესუსტების შედეგად თვითდამშვიდების და მოჩვენებითი კეთილდღეობის ატმოსფერო შეიქმნა.

სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურების და სხვა მაკონტროლებელი ორგანოების მოუქნელი მუშაობის შედეგია, რომ ამ სამინისტროებში ჯერ კიდევ საკმაოდ ბოგინობენ მექრთამეები და სხვა ჯურის დანაშაულენი, რომელთა დროული აღკვეთა და პასუხისგებაში მიცემა ყოველთვის როდი ხდება. ამ მიმართულებით სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩატარებული მუშაობა ჯერ კიდევ არასაკმარისია.

საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების საქმეში ნაკლოვანებების. გამო მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციების შედეგად ვლინდება დიდი ოდენობით დანაკლისები, რაც იწვევს დებიტორულ დავალიანებებს, ხოლო იურიდიული სამსახურები არ ღებულობენ გადამჭრელ ზომებს მათი ლიკვიდაციისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა ხელი შეუწყო იმას, რომ შარშან ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში დანაკლისებით და დატაცებებით გამოწვეულმა ზარალმა მილიონ 300 ათასი მანეთი, ხოლო მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში—643 ათასი მანეთი შეადგინა. თუ ამას დავუმატებთ ამავე სამინისტროს სისტემაში სამართალდაცვითი ორგანოების მიერ გამოვლენილ დატაცებებსა და დანაკლისებს, გამოჩნდება, რომ მდგომარეობა კიდევ უფრო სერიოზულია.

ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: 1988 წელს განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცებანი და მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისები მოხდა აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გალის რაისამრეწველო კომბინატში (100 ათასი მანეთი), ქუთაისის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების ტყიბულის საწარმოო კომბინატში (74 ათასი მანეთი), თბილისის ტექნიკური რეზინისა და ქიმიური ნაწარმის ქარხანაში, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის მაუდ-კამეოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“ და სხვაგან.

იმის შედეგად, რომ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საჩხერის საწარმოო კომბინატში მომშლილი იყო შიდასამეურნეო კონტროლი და ანალიზური აღრიცხვა, არავითარი ყურადღება არ ექცეოდა მინდობილობების გაცემა-დაბრუნის საქმეს, მომწოდებლებთან და მყიდველებთან დროულ ანგარიშსწორებას, შეიქმნა ხელსაყრელი პირობები სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის. ისარგებლა რა ამით საქმოსანთა ჯგუფმა კომბინატის ყოფილი მთავარი ინჟინრის ერგგმლიძის მეთაურობით, ცეკავშირის საცალო-სავაჭრო მაღაზია „არმაზის“ მუშაკებს ხელშეწყობით და მონაწილეობით, 859 ათასი მანეთის მატერიალური ფასეულობა დაიტაცა.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო და საბუღალტრო სამსახურების სრული უკონტროლობის შედეგია თბილისის მაუდ-კამეოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“ დიდი ოდენობით მატერიალური ფასეულობების განაავება.

შარშან ჩვენ შევამოწმეთ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში ჩადენილი ფაბრიკის საქმიანობა და გამოვავლინეთ წამატებებისა და სახელმწიფოსათვის თვალსაზვევის ფაქტები. შემოწმებით ისიც დადგინდა, რომ ფაბრიკის დირექტორი გ. აბდუშელიშვილი წინა სამუშაოდან — თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანებიდან, სადაც გენერალური დირექტორის მოადგილედ მუშაობდა, განთავისუფლებული იყო უუნარობისა და სერიოზული ნაკლოვანებების გამო. ანალოგიურად ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ლ. იოსელიანი, მუშაობდა რა სათამაშოების საწარმოო გაერთიანება „სიხარულის“ მთავარ ინჟინრად, გაათავისუფლეს სამუშაოდან არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის. და ალბათ, ამის შემდეგ შემთხვევითი არ იყო ჩვენს მიერ გამოვლენილი უხეში დარღვევები, რომელთა აღმოფხვრის შესახებ წარდგინება შევიტანეთ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში (იგი მხოლოდ შვიდი თვის შემდეგ განიხილეს) და სამინისტრომ აღნიშნულ პირებს მხოლოდ სასტიკი საყვედურების გამოცხადება აკმარა.

არის ფაქტები იმისა, რომ ნაცვლად გამოვლენილ დარღვევებზე მკაცრი და პრინციპული ღონისძიებებისა, მათი აღმოფხვრის კონკრეტული გზების დასახვისა, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელთა ლმობიერებას იჩენს და ნაცვლად იმისა, რომ კანონიერების უხეშ დარღვევებს სერიოზული და მკაცრი შეფასება მისცეს, თვით საწარმოების და ორგანიზაციების მუშაკები სამუშაოდანაც კი დაითხოვოს, საყვედურებსა და გაფრთხილებებს სჯერდება, სამეურნეო ხელმძღვანელები კი, გრძნობენ რა უკონტროლობას, კვლავ განაგრძობენ ასეთი სტილითა და მეთოდებით მუშაობას.

მაგალითად. შარშან შევამოწმეთ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში პროდუქციის მიწოდების კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობა, რის დროსაც გამოვლინდა კანონიერების უხეში დარღვევები, საგგმო დავალებების შეუსრულებლობის, წამატებებისა და თვალის ახვევის შემთხვევები. დარღვევათა გამო სამინისტროში შევიტანეთ წარდგინება, რომლითაც მთელი რიგი საწარმოების ხელმძღვანელთა მკაცრ დისციპლინარულ პასუხისგებაში მიცემა და სამუშაოდან დათხოვნაც კი მოვითხოვეთ. სამინისტრო კი შემოიფარგლა ამ პირებისათვის მორიგი საყვედურების გამოცხადებით.

ცხადია, ყოველივე აღნიშნული ქმნის დაუსჯელობის ატმოსფეროს და ალბათ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ამ სამინისტროების საწარმოებში კვლავ არის მიწერების და თვალის ახვევის ფაქტები.

მაგალითად, შემოწმებით გასულ წელს სიღნაღის, ბათუმის და ბოლნისის სამკერვალო ფაბრიკებში გამოვლინდა პროდუქციის გამოწვევის ნაგმის ხელოვნური გადიდება შესაბამისად 142,7 ათასი, 52 ათასი, და 57,4 ათასი მანეთის ოდენობით.

ბელა მაჟაშვილი: დღეისათვის ჩვენს მუშაობაში ჩამოყალიბდა გარკვეული სისტემა, რომელიც შეიცავს წარმოების დაგეგმვის სრულყოფას, აღრიცხვის მოწესრიგებას, ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას, მასალების ნორმირების ორგანიზაციასა და მომჭირნედ გამოყენებას, სასაწყობო მეურნეობის მოწესრიგებას, მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ხარისხიანად ჩატარებას, შემოწმების და კონტროლის გაძლიერებას.

უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონში დიდი უფლებები აქვთ მიცემული თვით შრომითს კოლექტივებს. ისინი სისტემატურად უნდა აკონტროლებდნენ ადმინისტრაციის საწარმოო და საფინანსო საქმიანობას, ებრძოდნენ მფლანგველობასა და უყაირათობას.

ამასთან ერთად მიმაჩნია, რომ კომპლექსური შემოწმებების მიზნით, უფრო მჭიდრო კავშირი გვმართებს შინაგან საქმეთა ორგანოებთან, პროკურატურასთან, სახალხო კონტროლის და სახელმწიფო ბანკის, საფინანსო და სტატისტიკურ ორგანოებთან. აქვე უნდა ვთქვა, რომ ამ წლიდან რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის ინიციატივით მოწესრიგდება შემმოწმებლის ძალთა კოორდინაცია, შემცირდება შემოწმების რაოდენობა და გაუმჯობესდება მისი ხარისხი, რაც დადებითად იმოქმედებს ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრაზე.

ოთარ სულაძე: დატაცებადანაკლისების, წამატებებისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად სამინისტრო გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებს. დაგეგმილი კომპლექსური რევიზიების ჩატარების გარდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად შედგენილი გეგმის მიხედვით ვაროს გარდაბნის ტრიკოტაჟის ფაბრიკის საქმიანობა და გამოვავლენთ წამატებებისა და სახელმწიფოსათვის თვალსაზვევის ფაქტები. შემოწმებით ისიც დადგინდა, რომ ფაბრიკის დირექტორი გ. აბდუშელიშვილი წინა სამუშაოდან — თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანებიდან, სადაც გენერალური დირექტორის მოადგილედ მუშაობდა, განთავისუფლებული იყო უუნარობისა და სერიოზული ნაკლოვანებების გამო. ანალოგიურად ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ლ. იოსელიანი, მუშაობდა რა სათამაშოების საწარმოო გაერთიანება „სიხარულის“ მთავარ ინჟინრად, გაათავისუფლეს სამუშაოდან არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის. და ალბათ, ამის შემდეგ შემთხვევითი არ იყო ჩვენს მიერ გამოვლენილი უხეში დარღვევები, რომელთა აღმოფხვრის შესახებ წარდგინება შევიტანეთ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში (იგი მხოლოდ შვიდი თვის შემდეგ განიხილეს) და სამინისტრომ აღნიშნულ პირებს მხოლოდ სასტიკი საყვედურების გამოცხადება აკმარა.

ალბათ, ყველანი ვეთანხმებით, ასეთი ფაქტები, ასეთი მეტად რთული პრობლემები დგას სახელმწიფო საკუთრების, საფინანსო დისციპლინის დაცვის საქმეში.

ფრიად დამაფიქრებელი და გულსატკენი მდგომარეობაა. მით უფრო, რომ იგი გრძელდება დღესაც, როცა გარდაქმნის ამოცანები გვიკარნახებს მკაცრად ვებრძოლოთ ყოველივე იმას, რაც ხელს გვიშლის წინსვლაში, დასახული მიზნების განხორციელებაში.

საუბარს უძღვებოდა **ბაკურ ბახტურიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული ტვირთი მოდის ფოთში

ავირა დღის დარიან დილას ფოთის საზღვაო ნავსადგურის მერვე ნავმისადგომს იტალიური გემი „ჯოლრ ნერო“ მიადგა. რომის მახლობლად მდებარე ქალაქ ჩეტავეკიიდან მან ჩვენს ქვეყანაში ჩამოიტანა დეკემბრის მიწისძვრით დაზგრეული სპიტაკისთვის განკუთვნილი ასაწყობი საცხოვრებელი სახლების პირველი პარტია.

— სახლები, რომლებიც გემზე ძალზე კომპაქტურად გამოყოფურება, ნათელი, ვრცელი და კომფორტულია, რაც მთავარია, მედეგია მიწისქვეშა ბიძგებისადმი. აქ გათვალისწინებულია მაქსიმუმი კომფორტი, ავტონომიური თბომომარაგებაც კი. ჯერჯერობით ჩამოტანილია 97 „ეგზემპლარი“, დანარჩენი 119 მოელის თავის რიგს ტირენის ზღვის ნაპირას.

— გემიდან სახლები გამოგიგორა ეკიპაჟმა, — გვიამბობს ქალაქ ფოთში საკვებირო გაერთიანება „საკსაგარეტრანსის“ კანტორის დირექტორი სერგი ტატარინოვი, — რის შემდეგაც ჩვენმა დოკერებმა გადმოზიდეს ისინი ბაქნებზე, რათა დაუყოვნებლივ გაგზავნონ დანიშულების პუნქტში რკინიგზით. საავტომობილო ტრანსებზე კი „მწვანე ქუჩის“ უქმნისხვა არაფერია, თუ არა დაკანონებული ძარცვა.

ყოველ წარმოებას სამინისტრო მკაცრად უდგენს მოგებიდან ანარიცხის ნორმატივებს, და რაც უფრო კარგად მუშაობს კოლექტივი, მით უფრო გაჭირვებულ ეკონომიურ მდგომარეობაშია, რადგან მით უფრო მატულობს „ხარკი“. ეს პარადოქსია და სხვა არაფერი.

ამგვარად ჩვენ ვანადგურებთ კარგი მუშაობის სტიმულს, ვზრდით მყარ ნიჰილიზმს მუშათა კოლექტივებში, ვბადებთ უხდობლობას ყველა სწორად წარმოთქმული სიტყვისა და მოქმედების მიმართ.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან ერთად მუშაობის საფუძველზე, როგორც ვხედავთ, მნიშვნელოვნად მოუმატეს მუშაობას მუსიკალური ინსტრუმენტების საწარმოო გაერთიანებაში. ასეთივე მდგომარეობაა საწარმოო გაერთიანება „გლდანში“. მაგრამ როგორ გაიზარდა ხელფასი? პრაქტიკულად მისი სტაბილიზაციაც ვერ მოხდა.

ამის შედეგად წარმოებიდან მიდიან კვალიფიცირებული მუშაკები, რომლებსაც სიხარულით ელიან კოოპერატივებში.

აღარას ვამბობ წარმოების სამართლებრივ დაუცველობაზე. კანონი ამის თაობაზე კონკრეტულ პასუხს არ იძლევა, რაც შესაძლებელს ხდის ყველა უწყებამ თავისებური (ან როგორც აძლევს ხელს) განმარტება მისცეს მას. ჩვენ ვთვლით, რომ ამ საკითხში იურისტებს გარკვეული ვალი აქვთ მეურნეობის წინაშე.

ავიღოთ სოციალური საკითხები, სადაც ბევრი გადაუწყვეტელი პრობლემაა. ჩვენ პრაქტიკულად არ გვმცირდება ბინების მიღების რიგი.

პრაქტიკულად არც ერთ წარმოებას არა აქვს შესაძლებლობა დამოუკიდებლად აშენოს თავის მუშებისათვის საცხოვრებელი ბინები. თუ ჩვენ ამ საუბრის საზღვარს გავცდებით, ახალი პროდუქციის გამოშვება კვების და მსუბუქი მრეწველობის საწარმოების გარდა ხელსაყრელი არავისთვის არ არის, რადგანაც ახალი ინსტრუქციების მიხედვით, ამ თანხების უმეტესი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხება. ეს კი უფრო უკანონობაა, ვიდრე სახელმწიფოებრივი მიდგომა.

ჩვენი პოზიცია ერთია და მისი მიზანია კოლექტივების დამოუკიდებლობის და პასუხისმგებლობის გაძლიერება, თვითმმართველობის განვითარება.

თენგიზ მახარაძე: ჩვენი აზრით, გარკვეულად შეუწყობს ხელს ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრას მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე გადასვლა, საიჯარო და კოოპერაციული მოძრაობის შემდგომი განვითარება, თუ რა თქმა უნდა, სამინისტროები, საწარმო-დაწესებულებები განუხრელად იხელმძღვანელებენ სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) და სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ კანონების მოთხოვნებით. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვაქვს შემთხვევები, როცა შრომითი კოლექტივები, მათი საბჭოები ვერ გამხდარან კოოპერატივში მიმდინარე პროცესების წარმმართველები და სწორი ეკონომიკური პოლიტიკის განმხორციელებლები. არადა, კანონი საწარმოს შესახებ მათ დიდ უფლებებს ანიჭებს. კანონის სწორად განხორციელებამ და ნამდვილი მუშური კონტროლის დაწესებამ პრაქტიკულად უნდა გამორიცხოს ყოველგვარი ნეგატიური მოვლენა საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობაში.

ამასთანავე სამინისტროებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ გამორიცხული იყოს ამ სამინისტროს საწარმოებთან შექმნილ კოოპერატივებში ე. წ. „მარცხენა“ პროდუქციის ან აღურიცხავი ნედლეულის შეტანა, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, „ლილე-87“ კოოპერატივში. აქ წინასწარი შეთანხმებით „საქქიმმომარაგება-გასაღების“ საწყობის გამგემ პეტრიაშვილმა ამ საწყობიდან დაიტაცა და კოოპერატივში შეიტანა ერთი ტონა პოლიპროპილენი. დატაცებული ნედლეულის საფასურად კოოპერატივის ბრიგადირმა, წარსულში სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით დატაცებისათვის ნასამართლევმა სხულუხიამ პეტრიაშვილს 1480 მანეთი გადასცა.

უკვე დადგა დრო იმისა, რომ თავი იგრძნონ შენი ქვეყნის, სახალხო დოვლათის ბატონ-პატრონად. ეს კეთილშობილური გრძნობა კონკრეტულად გამოიხატება, უწინარეს ყოვლისა, მუშაობისადმი ადამიანის დამოკიდებულებაში, საწარმოში, მშენებლობაზე, მინდორსა თუ დაწესებულებაში მისი უშეალო მოვალეობების შესრულებაში. ყველა ჩვენი მატერიალური ღირებულების შექმნის სათავეებთან პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, კომკავშირმა უნდა შექმნან შეურიგებლობის ატმოსფერო არაკეთილსინდისიერების, ანგარების ყოველგვარი გამოვლინებისადმი. წამგლეჯების, გამომძალველების, მექრთამეების, საქმოსნების წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთ კანონის ძალა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ სამართალდამცველმა ორგანოებმა, მათ უნდა გამოავლინონ და აღკვეთონ ვარგისი პროდუქციის უკანონო ჩამოწერა, თვალის ახვევის, წამატების, სახსტანდარტებისა და ფასების დარღვევის ფაქტები, დაწესებული ნორმებისაგან გადახვევა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში.

კანონების დებულებანი განუხრელად უნდა შესრულდეს. საზოგადოებრიობისა და სამართალდამცველი ორგანოების ერთობლივ მოქმედებას კოორდინაციას უნდა უწევდეს პარტიული კომიტეტები, ადგილობრივი საბჭოები. დიდ ეფექტს იძლევა სახალხო კონტროლიორთა, რაზმელთა და საუწყებო სარევიზიო სამსახურების, შეთანხმებული ღონისძიებანი ადმინისტრაციულ ორგანოებთან.

აი, ასეთი, მეტად რთული პრობლემები დგას სახელმწიფო საკუთრების, საფინანსო დისციპლინის დაცვის საქმეში.

ფრიად დამაფიქრებელი და გულსატკენი მდგომარეობაა. მით უფრო, რომ იგი გრძელდება დღესაც, როცა გარდაქმნის ამოცანები გვიკარნახებს მკაცრად ვებრძოლოთ ყოველივე იმას, რაც ხელს გვიშლის წინსვლაში, დასახული მიზნების განხორციელებაში.

ბაზრის ფასები

(1989 წლის 12 თებერვალი, კილოგრამი
პროდუქტის ღირებულება მანეთობით)

	ხორცი		ყველი (სახეობის მიხედვით)	ფრანკული	პარტოფილი	კომბოსტო	სტაფილო	ვაშლი
	საქონლის	ღორის						
თბილისი	7-8	6-7	8-12	8-10	1,5	80ა.	1,5-2	2-3,5
სოხუმი	7	5	7-10	10	1,2	60ა.	1	2,5-3
ბათუმი	6	5	6-10	8-9	1,5	60ა.	1,5	2-3
ცხინვალი	–	–	6	10	1	80ა.	1,5	2-2,5
ქუთაისი	6-7	5	7-9	4-5	1,3	60ა.	1	2-2,5
ზუგდიდი	6	5	9-14	10	1,5	70ა.	1-1,5	3-4
თელავი	7	6	10-11	10	1,3	1,5	2	3

მკითხველისათვის ეს ფაქტი, დარწმუნებული ვართ, არც აქამდე იყო უცნო, მაგრამ დღეს გამოქვეყნებული ცხრილით, რომელშიც აღნიშნულია, თუ რა ღირს რესპუბლიკის რამდენიმე მსხვილი სამრეწველო ცენტრისა და რაიონის საკლმეურნეო ბაზრებში ძირითადი სასურსათო პროდუქტები, იგი კიდევ ერთხელ თვალნათლივ დარწმუნდება, რომ ჩვენს ბაზრებს მართლაც „ცეცხლი უკიდიათ“.

ეს ასევე თვალნათლივ მიანიშნებს, რომ რესპუბლიკის აგრონამრეწველო კომპლექსის საზოგადოებრივი მეურნეობები ჯერ-როგორ ვერ იღვნიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის, რაც, ცხადია, შეამცირებდა ბაზრის ფასებს. კვლავაც მოუქნელად მუშაობენ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მუშაკები, რის გამოც სავაჭრო ქსელი კონკურენციას ვერ უწევს ბაზარს, ჯერჯერობით ნაკლები ყურადღება ეთმობა მეურნეობრიობის პროგრესული ფორმების დანერგვას და სხვ.

ასე რომ, მიზეზი ბევრია, მშრომელები კი, რომლებიც ძირითადად ბაზრის იმედად არიან დარჩენილი, სიძვირის გამო ძალზე ზარალდებიან. „კომუნისტის“ რედაქცია რეგულარულად გამოაქვეყნებს ბაზრის ფასების ამსახველ მონაცემებს, ყოველი კვარტლის ბოლოს კი სთხოვს რესპუბლიკისა და რეგიონების აგრონამრეწველო გაერთიანებების, სხვა შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებს გვითხრან, თუ რა კეთდება და უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ბაზარი ესოდენ მძიმე ტვირთად არ ანვებოდეს მშრომელთა საოჯახო ბიუჯეტს.

„კომუნისტის“ ეკონომიკის განყოფილება.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშ

დემოკრატიის ნერგს გაფრთხილება უნდა

...დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რომ ამ დღეზე თავისუფლად ოცნებაც კი არ შეგვეძლო.

...დაან, ვფიქრობდით, რომ არა გვაქვს უფლება ჭეშმარიტ დემოკრატიაზე ვოცნებობთ, ...ფარშოვიდგინოთ მისი ნამდვილი ხიკეთე, გაეუზიაროთ ერთმანეთს ამის გამო ჩვენი ...ულისწადილი, წუხილი და სატკივარი.

...ჩვენ იგი ცხრა მთას იქით გვეგონა გადაკარგული.

...და რა ახლოს ყოფილა ეს ბედნიერება, ...როცა ხმამაღლა შეგიძლია თქვა რასაც ფიქრობ, გააკეთო ის, რის გაკეთებაც გსურს, ...ოლონდ ზიანი არ მიაყენო ხალხის ინტერესებს, უანგაროდ შეიტანო შენი წვლილი საზოგადოებრივ პროგრესში.

...დემოკრატია აზრისა და მოქმედების თავისუფლებაა, რომელიც უმტკიცებად გაკისრებს პასუხისმგებლობასა და მოვალეობას, პასუხისმგებლობას — შენი საქმისათვის, ხოლო მოვალეობას — შენი ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

ჭეშმარიტი დემოკრატიის დრო ჩვენთან მყართველობის ავტორიტარულ-დიქტატორული, ვოლუნტარიზმისა და უძრაობის პერიოდების შემდეგ დადგა და ამიტომ, ამ მცირე ხნის მანძილზე იგი შესაძლებელია ასე ...ეფექტიანი ვერ იყოს.

ბუნებრივია, ვერც იმას ვიტყვით, რომ ჩვენ უკვე სრულყოფილი დემოკრატიის ნაყოფს ვიმკით. ჩვენ ახლა დემოკრატიის პირველ ნაბიჯებს ვდგამთ მხოლოდ; შეიძლება გულახდილად თქვას, ვსწავლობთ დემოკრატიას, და ამიტომ, ბუნებრივია, თავდაპირველად ყველაფერი ისე არ გამოგვდის, როგორც გვსურს, ან როგორც გვაქვს ჩაფიქრებული.

რაც უფრო მალე შევითვისებთ ამ გაკვეთილს და შევიგნებთ, რომ დემოკრატია ბუნების წყალობა კი არ არის, არამედ ჩვენი ...ზნეობრივი მოდვაწეობის პროდუქტია, მით უფრო მალე ვაქცევთ გარდაქმნას რეალურ საქმედ.

პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისადმი, მოქალაქეობრივი აქტიურობა, ცხადია, ძლიერ მნიშვნელოვანი იყო გუშინაც, მაგრამ იგი განსაკუთრებთ მნიშვნელოვანია დღეს, როცა გარდაქმნა მილიონთა იმედად იქცა, ხოლო დემოკრატია და საჯაროობა პარტიის ამ დიდი სტრატეგიული ჩანაფიქრის აუცილებელ კომპონენტებად.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნა ერთი ხელის დაკვრით როდია შესაძლებელი, ამას დროც სჭირდება და საჭირო მატერიალური დოვლათის შესაქმნელად აუცილებელი პირობების შექმნაც. ხდება ხოლმე, როცა სასურსათო პროგრამას განუხორციელებლობა, ხელმოცარვა ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრაში საშუალებას აძლევს გარდაქმნისა და დემოკრატიის შენიღბულ თუ აშკარა მოწინააღმდეგეებს თავიანთი სასარგებლოდ გამოიყენონ ყოველგვარი შემოთხვევა, მიიზიდონ აუდიტორია, ` შეიქმნან ნოყიერი ნიადაგი ქვეყანაში მიმდინარე დიდი ძვრების გასაბიბრუებლად.

და სად ხდება ეს? საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მაღაზიებსა და სავაჭრო ცენტრებში, იქ, სადაც არა მარტო ჩანს ყველაზე მეტად სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული ჩვენი ჩავარდნები და ხარვეზები, არამედ ამ ობიექტებზე და დაწესებულებებში მომუშავე პირთა უპასუხისმგებლობა და დანაშაულებრივი ქმედობა — დახლქვეშ გადამალონ ესა თუ ის დეფიციტური თუ არადეფიციტური საქონელი, ანგარების მიზნით შეუქმნან ხელოვნური დაბრკოლებები მომხმარებელს, გამოიწვიონ მშრომელთა უკმაყოფილება.

ასეთ ვითარებაში მთელი სიგრძე-სიგანით წარმოჩინდება ხოლმე ზოგიერთი ჩვენი პარტიული, საბჭოთა, იდეოლოგიური თუ ადმინისტრაციული მუშაკის საქმიანობის დეფიქტები, მათი უპასუხისმგებლობა და პოლიტიკური დონის უკმარისობა.

არავინ ითხოვს მოჩვენებითი სურათი შევუქმნათ უკმაყოფილო მასებს და ლიტონი სიტყვებით მოვახდინოთ მათზე ზემოქმედება, მაგრამ საჭირო და აუცილებელია სწორედ ასეთ ობიექტებზე გამოჩნდნენ ახლა ის ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ ორგანიზაციებსა და უწყებებს, დიდ წარმოება-დაწესებულებებს.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, ასეთ მისიას აუცილებლობას შეგნებით ვერ ასრულებენ პარტიის რაიკომის პირველი მდივნები, რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, მინისტრები.

არადა, რაოდენ საჭიროა ახლა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მათი გამოჩენა, მათი ავტორიტეტი, რაც უეჭველად განამტკიცებს წესრიგს და მოუწოდებს მშრომელებს, ფეხის ხმას კი არ ამყვნენ, არამედ სხვებთან ერთად იბრძოლონ გარდაქმნის ამოცანათა განხორციელებისა და ჭეშმარიტი დემოკრატიის დამკვიდრებისათვის.

ასეთი სიტუაცია, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, მოითხოვს ვითარების ობიექტურ შეფასებას და, ამავე დროს, უკომპრომისო მოქმედებას.

აი, აქ უნდა გამოჩნდეს ყოველი თანამდებობის პირის, თითოეული პატიოსანი ადამიანის მზადყოფნა გარდაქმნის ამოცანათა განხორციელებისათვის. სწორედ აქ გვმართებს პასუხისმგებლობის გამოჩენა და თავდადება — აკეთო დიდი საქმე ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

„კომუნისტის“ პარტიულ-იდეოლოგიური მუშაობის განყოფილება.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

საკდესი — იუნესკო

13 თებერვალი

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

◆ ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ

მცირდება სამმართველო აპარატი

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ. იუგოსლავიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირის საკავშირო კონფერენციამ გადაწყვიტა თითქმის 50 პროცენტით შეამციროს ქვეყნის ამ უველაზე მახობრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის აპარატის მუშაკთა რიცხვი, რომელიც თავის რიგებში 14 მილიონზე მეტ კაცს აერთიანებს, ანუ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მთელ მოზრდილ მოსახლეობას. მარტო საკავშირო კონფერენციის — იუგოსლავიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირის ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა რიცხვი 243 კაციდან 125-მდე შემცირდება.

იუგოსლავიაში უკვე პირველი თვე როდია, რაც მიმდინარეობს ენერგიული ბრძოლა იმისათვის, რომ გადავიდნენ ეკონომიკის ეფექტიან ხელმძღვანელობაზე — შეამცირონ უზარმაზარი სამმართველო აპარატი, აღმოფხვრან მართვის ბიუროკრატული ფორმები, კერძოდ, უნაყოფო სხდომების მანკიერი პრაქტიკა. როგორც პრესა იუწყება, დაახლოებით ნახევარი მილიონი კაცი ყოველდღიურად ცდება სამუშაოს, რათა მონაწილეობა მიიღოს დაუსრულებელ სხდომებში, სხვადასხვა თათბირებსა და კრებებში. შემთხვევითი არ არის, რომ ქვეყნის ქარხნებსა და ფაბრიკებში სულ უფრო ხმამაღლა გაისმის მოთხოვნები შეზღუდონ სამმართველო აპარატის ხარჯები, აღრიცხონ სამუშაო დრო, წესრიგი დაამყარონ შრომის დისციპლინაში თავიდან ბოლომდე.

● ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ

ახალი ავტოვაგზალი

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ. ხუთ მილიონზე მეტი მგზავრი — ასეთია უნგრეთის სამხრეთ ნაწილში ქალაქ სიგეტვარში აშენებული ახალი ავტოვაგზლის ყოველდღიური გამტარობის უნარი.

სულ ექვს თვეში აშენებული ამ ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი სატრანსპორტო პრობლემათა გადაჭრას არა მარტო ქალაქის ფარგლებში, არამედ 60-ზე მეტ მახლობლად მდებარე დასახლებულ პუნქტშიც. ავტოვაგზალში გათვალისწინებულია ერთდროულად 25 ავტობუსის სადგომი ადგილები. ყოველდღიურად ადგილობრივი სატრანსპორტო საწარმოს „პანონ ვოლანის“ მომსახურებით, რომელიც ახალ ვაგზალს ემსახურება, სარგებლობს 10 ათასზე მეტი მგზავრი, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ სიგეტვარის საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეები. ამ სატრანსპორტო კვანძის ამოქმედებამ აგრეთვე მნიშვნელოვნად შეამცირა დრო, რომელიც საჭიროა პროვინციებში მცხოვრები სიგეტვარის საწარმოების მშრომელების გადაყვანისათვის.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ



● **ᲑᲣᲨᲘᲜ, 13 თებერვალს, ისევე როგორც ყოველწლიურად, უნგრელმა ხალხმა ფართოდ აღნიშნა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებისაგან ბუდაპეშტის განთავისუფლების 44 წლისთავი. საბჭოთა ჯარებმა, რომლებმაც ცხარე ბრძოლებში მოსპეს ორმოცი ჰიტლერული დივიზია, ამ დღეს დაამთავრეს ბუდაპეშტის ოპერაცია და გაათავისუფლეს უნგრეთის დედაქალაქი.**

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ახლა ბუდაპეშტის გარეგნულ იერს მისი მშვიდობიანი ხადგი დღეები განსაზღვრავენ. ქალაქი სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება, მშვენდება, იგება თანამედროვე სახლები, აღადგენენ უძველეს ძეგლებს.

ᲛᲢᲘ-ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲕᲓᲐ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ. დასავლეთ ბეირუთში ალინიშნება ვითარების შორიგი გამწვავება. როგორც ადგილობრივი რადიოსადგურები იუწყებიან, ტელეცენტრის შენობას ეხროლეს გრანატმფრქვევი. მხხეიპალი არ არის, მაგრამ ქალაქის ცენტრში მდებარე შენობა დაზიანდა. როგორც ლიბანის პოლიციის წარმოადგენელმა განაცხადა, რვა კაცი დაიღუპა გასულ ხუთშაბათს დასავლეთ ბეირუთის საცხრეთის გარეუბნებში. ისინი შეეწირნენ სნაიპერებს, რომლებიც ისროდნენ დაუდგენელი ადგილებიდან. ლიბანის პროგრესულ-სოციალისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე, ძისი ყოფილი გენერალური მდივანი ანვარ ფატაირი და მისი მცველი მოკლეს სოფელ ჯაქელის რაიონში, რომელიც ბეირუთის სამხრეთით 23 კილომეტრზე მდებარეობს. რადიოს ცნობების თანახმად, მათ თავს დაესხნენ უცნობი შეიარაღებული პირები, რომლებმაც ჩასაფრებულებმა ცეცხლი დაუშინეს ფატაირის ავტომანქანას. დაიჭრა აგრეთვე მასთან ერთად მანქანაში მყოფი ქრისტიანთა დასახლებული პუნქტის დეირ-ულ-ყამალის მერი. ამასთან დაკავშირებით ლიბანის გაზეთები აღნიშნავენ, რომ პროგრესულ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობას ამ ბოლო დროს მოლაპარაკება ჰქონდა დრუზების შუფის რაიონში 150 ათასი იმ ქრისტიანი ლტოლვილის დაბრუნების შესახებ.

შიიტთა მოძრაობას „ამალს“ და პროირანულ ორგანიზაციას „ჰეზბოლაჰს“ შორის ცეცხლის შეწყვეტისა და ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ დამასკოში დადებული შეთანხმების შესაბამისად ამ დაჯგუფებათა შეიარაღებული ქვეგანაყოფები გაიყვანეს სამხრეთ ლიბანის დასახლებული პუნქტების ჯბაასა და აინ-ბუსარის რაიონიდან.

ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲥᲐᲑᲣᲚᲘ. ქვეყანაში ვითარების გულმოდგინე და ობიექტური შესწავლის შემდეგ ავღანეთის მთავრობამ გამოაცხადა და პრაქტიკულად ახორციელებს ეროვნული შერიგების პოლიტიკას, რომელიც ემსახურება ომის შეწყვეტის, ავღანელთა შორის ყველა წინააღმდეგობის აღმოფხვრის საქმეს, ნათქვამია კვირას ბახთარის საგაზეთოს მიერ გავრცელებულ ავღანეთის რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში. ამ ჰუმანურმა პოლიტიკამ ხელშემწყობი პირობები შეუქმნა ქვეყანაში მშვიდობისა და სიმშვიდის აღდგენის პროცესთან მრავალი ოპოზიციური ჯგუფის შეერთებას. შერიგების პოლიტიკის გამოცხადების შემდეგ მრავალი თანამემამულე, რომლებიც იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ სამშობლო, დაუბრუნდა თავის კერას. მაგრამ სხვადასხვა მიზეზით მრავალმა ავღანელმა ლტოლვილმა და ოპოზიციონერმა დღემდე ვერ შეძლო დაბრუნებოდა მშვიდობიან ცხოვრებას. ოპოზიციის დიდი და პატარა რაზმების ზოგიერთ წარმომადგენელთან მოლაპარაკებამ და კონტაქტებმა ცხადყო, რომ ისინი ეროვნული შერიგების მომხრეები არიან. ამასთანავე, მათი განცხადების თანახმად, ამ პროცესთან შეერთება შესაძლებელი იქნებოდა ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების წასვლის შემთხვევაში. ოპოზიციის მეორე ნაწილმა უარი თქვა დაიწყო ჩვენთან მოლაპარაკება და კვლავ განაგრძობს საბრძოლო მოქმედებას, რომელიც თანამემამულეთა მოსპობას იწვევს.

ავღანეთის რესპუბლიკის მთავრობამ, ნათქვამია განცხადებაში, ყველაფერი იღონა, რათა ხელი შეეწყო სამშობლოში საბჭოთა ჯარების დაბრუნებისათვის, და დღეს ავღანეთის ყველა მოქალაქე მოწმეა იმისა, რომ ჟენევის შეთანხმებების შესაბამისად საბჭოთა ჯარებმა დატოვეს ავღანეთი. ამ ბოლო დღეებში ოპოზიციის შეიარაღებული ფორმირებების ზოგიერთმა მეთაურმა მოლაპარაკება დაიწყო ხელისუფალთა წარმომადგენლებთან და განაცხადა, რომ ქვეყნიდან საბჭოთა ჯარების წასვლა შესაძლებელს ხდის მათს მონაწილეობას მშვიდობიანი მოწესრიგებისა და ძმათამკვლელობის უსწრაფესი შეწყვეტის პროცესში. მათ სიხლისღვრა უკვე „ჯიჰადად“ — წმიდათაწმიდა ომად კი აღარ მიაჩნიათ, არამედ მაჰმადიანების მიერ მაჰმადიანების მოსპობად. ლტოლვილთა ბანაკებში საზღვარგარეთ მცხოვრები თანაზიმამუელების აზრითაც ომის განგრძობას მოჰყვება მხოლოდ მათი შვილებისა და ძმების მოსპობა.

ოპოზიციის ფორმირებათა ზოგიერთი მეთაური, აღნიშნულია განცხადებაში, კვლავ ელის ფეშავრელ ლიდერთა მითითებებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებიც პაკისტანის ხელისუფლებთან ერთად იმის პრეტენზიის აცხადებენ, რომ განაგონ სამშობლოს ბედი. მაგრამ პრაქტიკა ცხადყოფს, რომ პაკისტანის მხედრიონის ზეგავლენით გამოტანილმა ვერც ერთმა მათმა გადაწყვეტილებამ ვერ უზრუნველყო ავღანეთის პრობლემის სამართლიანი გადაჭრა. ისედაც, როგორ შეიძლება ავღანეთში მოქმედი შეიარაღებული ძალების მეთაურთა ინტერესებს წარმოადგენდნენ ისინი, ვინც ახლა იმყოფება რავალპინდში და მათ გამუდმებით უთვალთვალებს და ეურჩვეობს პაკისტანის მხედრიონი.

ავღანეთის მთავრობის აზრით, ავღანელი ხალხის ბედთან დაკავშირებული ყველა საკითხი უნდა გადაიჭრას თვით ავღანეთში, და არა მის ფარგლებს გარეთ. იგი მოუწოდებს ქვეყანაში მყოფ ოპოზიციის შეიარაღებულ ფორმირებათა ყველა მეთაურს დაამყარონ პირდაპირი კონტაქტები ხელისუფალთა წარმომადგენლებთან, რათა გამონახონ სისხლისღვრის შეწყვეტის შესაძლო გზები. მთავრობა მზად არის განიხილოს ყველა თვალსაზრისი, წინადადება და მოთხოვნა, და აწარმოებს რა მოლაპარაკებას ოპოზიციასთან, მიიღოს მათ გამო ერთობლივი გადაწყვეტილებანი.

მთავრობა აცხადებს, რომ შეიარაღებული ფორმირებების ყველა შეიარაღებას და წევრისათვის, რომლებიც კონტაქტს დაამყარებენ ხელისუფლებთან, უზრუნველყოფილია სრული უშიშროება და ხელშეუხებლობა. ყველა სახელმწიფო ორგანოს მიეცა განკარგულება განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი ოპოზიციასთან მოლაპარაკების საწარმოებლად. ყველა იმპთთვის, ვინც შეუერთდება ეროვნული შერიგების პროცესს, უზრუნველყოფილი იქნება ქვეყნის საქმეთა მმართველობაში მონაწილეობის უფლება, შრომითი მოწყობა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. მათ გაეწევათ აგრეთვე მატერიალური და ფინანსური დახმარება.

თავის მხრივ ავღანეთის რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს; იგი ყოველ ღონეს იხმარს ომის უსწრაფესი შეწყვეტისათვის. არავის მივცემთ უფლებას არაფრად ჩააგდოს ავღანელი ხალხის ბედი, ლტოლვილთა ბედი, ოპოზიციის ბედი. საბჭოთა ჯარების წასვლის შემდეგ ყველა ავღანელმა უნდა დაივიწყოს წყენა და მტრობა, ერთად დაიცვას თავისი სამშობლოს ღირსება მისი მტრების ხრიკებისაგან.



ᲕᲜᲔᲑᲘᲡᲔᲑᲘ ᲣᲒᲣᲜᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲖᲚᲕᲐᲠᲖᲔ

ᲤᲘᲖᲑᲣᲠᲗᲘ, ფეხბურთი... რაოდენ სიხარულს ანიჭებს იგი ადამიანებს. მაგრამ, მსოფლიო საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ფეხბურთის მანიკჟთა ბანდებს, სხვაგვარად მათ ვერ უწოდებ, კვლავაც შიშში ჰყავთ როგორც ჭეშმარიტი გულშემატკივრები, ისე წესრიგის დამცველები.

ისინი, ვინც საყვარელი გუნდის ფერებით იხატავს სახეს, ღებავს ავტომანქანას და შესაბამისად იცვამს — ნაკლებად საშიში არიან, ამბობენ ევროპის სტადიონებზე წესრიგიათვის პასუხისმგებელი პირნი. „ულტრასებს“ კი თავიანთი განმასხვავებელი ნიშნები აქვთ: ფერდაკარგული ჯინსები და კურტკები, ნიღბები სახეზე, გაპარსული თავი და საყურეები. მათ თავიანთი კანონები და ქცევის „ნორმები“ აქვთ. გულდაგულ იცავენ მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიის ტრიბუნებზე და ვაი მას, ვინც აქ ბილეთით ადგილს დაიკავებს. სანახაობას სტადიონზე ისინი აწყობენ და არა მოთამაშეები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: იტალიის კარაბინერთა სპეციალური კორპუსის ჯარისკაცები სტადიონზე ერთ-ერთი საფეხბურთო მატჩის დროს.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲯᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ

ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ბედნიერია კაცი, რომელსაც მშობლიურ ადგილებში მხოლოდ სახელით იხსენებენ.

ერთ-ერთი ასეთია დანიელ მაღალაშვილი, ფოთის ძველი მკვიდრი.

მაინც, ვინ არის იგი, ფოთელებისათვის ასე პატივდებული ადამიანი, რით დიმსახურა თანამოქალაქეთა ასეთი სიყვარული და აღიარება?

ეროვნებით ებრაელია, მშობლიური მიწა — საქართველო, დედაენა — ქართული, მსოფლგაგება და ზნეობრივი კრედო — მამულის თავდადებული სამსახური, ფოთელთა ინტერესების შეუპოვარი დაცვა და მხარდაჭერა...

იმ დღეს გულდასმით ვეცნობოდით ფოთის ერთ-ერთი უპირველესი საწარმოს — გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელი ქარხნის სათითაოდ აწყობილ ცხოვრებას, მის სულფთა, ქალთა საამქროებს, ბოგანებთან და მაგიდებთან მოფუსფუსი სხვადასხვა ეროვნების მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, იდეოლოგიური სამსახური მუშაკებს, რომლებსაც, მართალი გითხრათ, სულ არ სიამოვნებდათ საქმეს მოწყვეტა. ჩვენც, შესვენების მოლოდინში, ვკითხულობდით „ქედლის გაზეთს, „ელვის“ ფურცლებს, ვეცნობოდით სტენდებს, საგგმო მაჩვენებლებს, რომლებიც გამოხატავენ დღეანდელობის სულისკვეთებას...

ყველა საამქროს ცალკე აქვს თვალსაჩინოების კუთხე და ყოველ კაცმა იცის, თუ რით არგო მან დღეს საქმეს, რით გამოიჩინა თავი, ან რას დააკლო ხელი. დასასვენებელი ოთახების, კულტურის სახლის, ბიბლიოთეკის, შესანიშნავი მუშათა სასადილოს, რომლის პირობები და კერძების ხარისხი ბევრ სანატორიუმსაც შეშურდება, გამართული მუშაობის გამო კმაყოფილება რომ გამოვთქვით, დანიელმა ვვიპასუხა:

— ადამიანი, უპირატესად, განწყობილება, გრძნობა და განცდებია, ჩემო ბატონო. ხშირად ვიკიწყებთ ამას, ადამიანებს თითქოს რობოტებად, დავალებისა და ამოცანების უდრტვინველ შემსრულებლადღა ვაქცევთ. არადა, მეცნიერულად დამტკიცებული და პრაქტიკულად გამოცდილია, რომ კარგ განწყობილებაზე მყოფი ადამიანი ბევრად უფრო ნაყოფიერად შრომობს...

მოწინავე მუშის ბორის ყუფარაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ქარხნის კოლექტივი თავიდანვე დადგა ახალი დირექტორის მხარეზე, რადგან კარგად იცნობდნენ მას სხვა შრომითს კოლექტივში მუშაობით. იგივე მოგვახსენეს ტექნიკური ბიუროს უფროსმა, ქართველების სიძეს ბორის გოლოვანენკომ, აგრეთვე შეკვენებისას ეზოში გამოსულმა თუ დასასვენებელ ოთახში შეკრებილმა მუშებმა.

ეს ქარხანა, რომლის მშრომელთა შესანიშნავი ნახელავი — წყალქვეშაფრთიანი „კომეტები“ და „კოლხეთები“ მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებს სერავენ, ომის წლებში სევასტოპოლიდან გადმოიტანეს ფოთში, როგორც გემთშემკეთებელი ქარხანა. შემდეგ იგი გემთსაშენებელიც გახდა. ამ დროის მანძილზე წარმატებებიც იყო და მარცხიც. 1984 წლიდან კი, რაც მის დირექტორად დანიელ მაღალაშვილი დაინიშნა, საწარმო მტკიცედ დგას მოწინავეთა რიგებში არა მარტო ქალაქისა და რესპუბლიკის, არამედ კავშირის მასშტაბითაც.

საწარმოში ახალმოსული მაღალაშვილისათვის თავიდანვე მთავარი ქარხნის მშრომელთა პესიმისტური განწყობილების გაფანტვა და მათი დარწმუნება იყო იმაში, რომ კოლექტივს შეუძლია წარსული დიდების დაბრუნება, წინსვლა და ახალი გამარჯვებების მოპოვება. საწარმოო პროცესის გაცნობისას, თათბირებზე, პირად ეგზეკდრებზე იგი პრინციპულად მოითხოვდა ადამიანებისაგან მოეძებნათ და დაესაბუთებინათ საწარმოს წინსვლის რეზერვები და მათი გამოყენების გზები. ენდო და დაეყრდნო ადამიანებს. ისინიც უყოყმანოდ ამოუდგნენ მხარში. ერთობლივი ძალისხმევით იმავე 1984 წელს თითქმის 20 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება...

დასასიათებაში, რომელიც მის პირად საქმეშია ჩაკრული, ვკითხულობთ: „იბრძვის კოლექტივის პრესტიჟის დასაცავად, ავტორიტეტის ასამაღლებლად, ამ კოლექტივის ერგვლივ დადებითი აზრის შესაქმნელად. გულისხმიერია თანამშრომლებთან ურთიერთობაში. შეუძლია მოკლე დროში დაუახლოვდეს ადამიანებს, მოიპოვოს მათი ნდობა და პატივისცემა“...

ყველა სამუშაო დღე „ღია კარის დღედ“ აქვს გამოცხადებული დირექტორს. მაგრამ საამქროებისა და სხვა სამსახურების ხელმძღვანელებმა კარგად იციან, რომ დირექტორი შემდეგ პრინციპულად მოკითხავს ყველას, ვისი გასაკეთებელი საქმისთვისაც მშრომელები მასთან მივლენ.

ყველამ თავისი საქმე თვითონ უნდა აკეთოს, თანაც გულით და ნამუსიანადო, ამბობს დირექტორი.

ქარხნის მშრომელთა წარმატებებს თავის დამსახურებად არ მიიჩნევს, მე რა შუაში ვარ, ეი, ეს დიდი კოლექტივია ყველაფრის თავი, მისი გონებისა და მარჯვენის ნამოქმედარია ყველაფერი, იტყვის ხოლმე.

მუშაკაცის ოჯახში დაიბადა დანიელი. მამამისი ხელოსანი იყო, დღე-ღამე ასწორებდა, მაგრამ მაინც არ ჰყოფნიდა სარჩო-საბადებელი. ჰაბუკი დანიელი ოჯახის მარჩენლის მხარში ამოუდგა, თანაც სწავლობდა. საკოლო ოქროს მედალზე დაამთავრა.

მერე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში ჩაირიცხა, რომლის დამთავრების შემდეგ კვლავ თავის საყვარელ ქალაქს დაუბრუნდა. ოსტატის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელ ქარხანაში, რომელსაც ახლა მეთაუობს. მერე პარტიის საქალაქო კომიტეტმა იგი, სხვა ახალგაზრდა სპეციალისტებთან ერთად, იმეამად ახალჩამოყალიბებულ ქარხანა „ელექტროაპარატში“ გაგზავნა ოსტატად. შემდეგ უბნის უფროსი გახდა. უფრო მოგვიანებით ფოთის პიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელ ქარხანაში გადაიყვანეს მთავარ ტექნოლოგად, მთავარ ინჟინრადაც დაიწინაურეს, მერე კი დირექტორად დანიშნეს.

მისი ხელმძღვანელობით ერთ დროს პრიმიტიული სახელოსნოების ბაზაზე შექმნილი ეს ქარხანა საოცრად მომძლავრდა და კავშირის მასშტაბითაც დარგში მოწინავე გახდა. ახალი პროდუქციის ათვისებას, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას, შრომის პროგრესული მეთოდების დანერგვას, ფართო მოხმარების საგნების წარმოების სამაქროს შექმნას საზოგადოებრივი აზრი ქარხნის წინამძღოლის დამსახურებად მიჩნევს. მან მისცლისთანავე გასაკუთრებული ყურადღება მიაქცია მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდა-შენარჩუნებას, მათი შრომის, დასვენებისა და ყოფა-ცხოვრების ჯეროვანი პირობების შექმნას. ქარხნის საუცხოოდ ორგანიზებული დამხმარე მეურნეობა ერთ მომუშავეზე დაახლოებით 60-70 კილოგრამ ხორცს აწარმოებდა და მთლიანად აკმაყოფილებდა მასზე თანამშრომელთა მოთხოვნილებას...

ახალ საწარმოში მისულმაც არ უღალატა ტრადიციას: საწარმოო სასკითხვის მოგვარებასთან ერთად კვლავაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მშრომელთა ყოფა-ცხოვრების პირობებს, გუმჯობესებას. უკვე 1987 წელს ქარხნის დამხმარე მეურნეობამ სასატიო დიპლომი მიიღო. შარშანდელი წლიდან კი ქარხანა მეურნეობრიობის ახალ პირობებშიც მუშაობს. თვითდაფინანსებამ საწარმოს მატერიალური წახალისების ფონდი, 1987 წელთან შედარებით, თითქმის 40 პროცენტით გაზარდა.

მაგრამ განა მხოლოდ საწარმოს ადგება სასიკეთოდ მისივე კოლექტივისა და ხელმძღვანელის მაძიებლური და შემოქმედებითი შრომა. ქალაქის კეთილმოწყობისთვისაც ბევრი რამ კეთდება. ფოთის ახალ, კეთილმოწყობილ ოცნების ხეივნის გადავლებული ხიდი, რომელსაც ახალგაზრდები სიყვარულის ხიდს ეძახიან, ამ კოლექტივისა და მისი თავკაცის უანგარო საჩუქარია. მანამდეც ბევრი საქველმოქმედო საქმე გაუკეთებიათ მათ ფოთელებისათვის...

მთელი გრძნობითა და არსებით არის მიჯაჭვული მშობლიურ ფოთსა და საქართველოს. თავისი სამედიცინო ინსტიტუტდამთავრებული ვაჟებიც ფოთში დაბრუნდა. ოსტატის ... ...ლი ვაჟებიც ფოთში დაბრუნდა. არასოდეს უფიქრია აქედან წასვლა. მისი სამუშაო მაგიდის შუა უჯრაში ყოველთვის დევს საყვარელი ქართველი მწერლისა თუ პოეტის წიგნი. გადაშლის, წიკითხავს, სულში სინათლე ჩაეღვრება და ამ სინათლითა და ფიქრით მიჰყვება გზას ქარხნის უკეთესი მერმისისაკენ, რომელიც ხვალინდელი დღით იწყება. ახალგაზრდობის განსაკუთრებით თანამდგომი და გულთბილი დამრიგებელია.

— რას მიიჩნევთ დღევანდელი ახალგაზრდობის ღირსებად? — გვაინტერესებს მისი პასუხი.

—მოზღვავებულ ენერგიას, პატრიოტიზმის გამძაფრებულ გრძნობას. მაგრამ ყველაფერ ამას გონივრული წარმართვა სჭირდება, მართვესა და არწივის ლეგენდისა არ იყოს, უფროსი მეგობრის სანდო ზურგი და მხარი სჭირდება. შრომით, სწავლით, მაღალი ზნეობით, რაინდული ღირსებებით უნდა დაუმტკიცოს ახალგაზრდა კაცმა სამშობლოს სიყვარული და პატივისცემა.

მისი ზრუნვა არც შრომაში პატივდებულ ადამიანებს აკლიათ და არც იმათ, ვისაც დამსახურებული დასვენების ასაკამდე მიუღწევია. მან კარგად იცის, რომ, თუ ახალგაზრდობა ძალა და ენერგიაა, ქარხნის კადრის მუშები — ეს სიბრძნე, დაკვირვება და გამოცდილებაა. ამიტომაც გონივრულად უნდა ამ ორ ძალას გამოყენება ქარხნის, ქალაქის, ქვეყნის სასარგებლოდ. გრძნობს, რა ძნელია ქარხანასთან თითქმის შეზრდილი კაცისთვის მისგან სიშორე. ამიტომ არც იშორებს. კოლექტივში მათ საზოგადოებრივ დავალებას აძლევენ, ღირსსახსოვარ დღეებზე იწვევენ, ქარხნის წინაშე დამსახურებისათვის მატერიალურად და მორალურადაც წაახალისებენ ხოლმე. ისინიც ღირსეულ, დაფასებულ ადამიანებად გრძნობენ თავს და ცხოვრებას მიყვებიან საყვარელ კოლექტივთან ერთად.

მშრომელი კაცისადმი ასეთი პატივისცემის გამო მომრავლდა ქარხანაში მუშათა ოჯახური დინასტიები — ლოლუენი, სილოგავებისა, მარტინიუკებისა, სიტნიკოვებისა და სხვათა და სხვათა...

რასაკვირველია, დანიელ მაღალაშვილი ცით მოვლენილი ადამიანი არ არის. მასაც აქვს ნაკლი და ხარვეზი. საყვედურიც საკმაოდ მიუღია და შეხვედრაც. მუშაობა სხვაგვარად წარმოუდგენელია. მაგრამ მისი, როგორც ხელმძღვანელისა და პიროვნების ძალა ის არის, რომ შეუძლია მიიღოს სამართლიანი კრიტიკა, ღრმად გააანალიზოს იგი, სათანადო დასკვნებიც გამოიტანოს და საქმის სასარგებლოდ გამოიყენოს.

იგი ძლიერი ემოციებისა და ამაყი სულის კაცია

ყურადღება!

ძვირფასო მკითხველებო!

გიწვევთ „კომუნისტის“ მორიგ, 1989 წლის ფოტოკონკურსზე.

რედაქცია არ ზღუდავს კონკურსში მონაწილეობის მსურველებს თემის არჩევაში, მაგრამ მთავარი პირობა მაინც რჩება — ჩვენი თანამედროვის, გარდაქმნის აქტიური მონაწილის ცხოვრება და საქმიანობა! კონკურსზე შეიძლება წარმოადგინოთ უანრული ფოტოსურათებიც, მშობლიური მხარის პეიზაჟები...

ფოტოსურათები უნდა გამოიგზავნოს შავთეთრი ანაბეჭდების სახით, არანაკლებ 18 X 24 სმ ზომისა, დაბეჭდილი პრიალა ქაღალდზე. თან უნდა დაერთოს ახსნა-განმარტებითი ტექსტი. მოგვწერეთ თქვენი გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი. ნამუშევრების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1989 წლის 25 დეკემბერი.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

ერთი პირველი პრემია — 100 მანეთი;
ორი მეორე პრემია — თითოეული 75 მანეთი.
ოთხი მესამე პრემია — თითოეული 50 მანეთი.

ჩვენი მისამართია: 380096, თბილისი 96, ლენინის ქ. № 14. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია.

პროფესიონალო ფოტოჟურნალისტებო და ფოტომოყვარულნო, ველით თქვენს ნამუშევრებს!







„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

ვულოცავთ გამარჯვებულებს

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ 1988 წელს მოაწყო ფოტოსურათების ტრადიციული კონკურსი. ჟიურიმ-განიხილა საკონკურსოდ გამოგზავნილი გაზეთში გამოქვეყნებული ნამუშევრები. ჟიურის გადაწყვეტილებით პირველი პრემია მიენიჭა ა. კოტორაშვილის ფოტოსურათს „შეტევა“.

მეორე პრემიით აღინიშნა ჯ. ლომაძის „ფანტაზია ბალანჩინის თემაზე“ და გ. გოგობიას „ჩემი ხნისა მოიყარეთ“. მესამე პრემიით შეფასდა ვ. გენგიურის ფოტოსურათი „ისევ მხნე“, ხ. კილაძის „ქალაქში შვილთაშვილებთან“ და ზ. დათუაშვილის „მცხეთის ჯვარი“.

რედაქცია ულოცავს წარმატებას გამარჯვებულთ და გამოთქვამს რწმენას, რომ „კომუნისტის“ ახალ, 1989 წლის კონკურსსაც არ მოაკლდება ქართველ ფოტობელოვანთა ოსტატობის მადლი.

ფიგნეის თარო

ნარნერიმოვნი — „ავტორიტეტი ლიტერატურა და ხარჯზე“

მკითხველები ალბათ პირველად წაიკითხავენ გვარებს წიგნებზე, რომელთა წარდგენითაც დაიწყო ამას წინათ პრესკონფერენცია სსრ კავშირის გამსახკომში. ქვეყნის სხვადასხვა გამომცემლობებში გამოსულ რბილუდიან პატარა ტომებს აერთიანებს ერთი რამ: ისინი ავტორის ხარჯზეა გამოსული. სწორედ ასეთ გამოცემათა პრაქტიკის სრულყოფას მიეძღვნა ჟურნალისტებთან შეხვედრა.

სსრ კავშირის გამსახკომის თავმჯდომარემ მ. ნენაშევმა თქვა, რომ განვლილი ნახევარი წლის მანძილზე ასეთი წესით გამოიცა უკვე ორმოცდაათამდე წიგნი: პროზაული და პოეტური კრებულები, მეცნიერული გამოკვლევები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურა. მომდინარე წელს დაგეგმილია მათი რიცხვი ერთიათად გაიზარდოს. დამტკიცებულია ახალი ტექსტი დებულებისა ავტორის სახსრების ხარჯზე ნაწარმოებთა პუბლიკაციის შესახებ, რომელიც აუქმებს ძველ შეზღუდვებს.

აღინიშნა, რომ ახალი უფლებები მიენიჭათ ავტორებსაც. ნებადართულია გადიდდეს პირვანდელი ტირაჟი, რომელიც, ამასთან, 3-5 ათას ეგზემპლარს არ უნდა აღემატებოდეს, ასევე პირობებით ხორციელდება წიგნების ხელახალი გამოცემაც, გაჩნდა შესაძლებლობა გამოუშვან ლიტერატურა შემოქმედებითი კავშირების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმოების ხარჯზე. მაგალითად, სსრ კავშირის ლიტფონდი უკვე მზად არის გამოჰყოს სახსრები ახალგაზრდა ავტორთა წიგნების გამოსაცემად, რომლებსაც პუბლიკაციის რეკომენდაცია მისცა სსრკ მწერალთა კავშირმა.

აღინიშნა აგრეთვე, რომ ავტორთა ხარჯზე წიგნების მომზადებისას საშუამავლო მომსახურების გაწევა შეუძლიათ კოოპერატივებს, რომელთა მუშაობა საგამომცემლო საქმიანობის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს. მათი სტატუსი სპეციალური დებულებით განისაზღვრება.

(საკ.ინ. კორ.).

მოსკოვი.

სოფლის მეურნეობა

კავკასიის სოფლის მეურნეობის ხაზოგადოება, ვაზის დაავადებათა წინააღმდეგ მებრძოლი კომისია, „ბოსტნეულ-ბაღჩეული პროდუქტების“ კავკასიის გამოფენა, კახეთის „ღვინის ვაჭრობის ამხანაგობა“ — აი, არასრული ნუსხა პრაქტიკული ღონისძიებებისა, რომელთა დახმარებითაც ილია ჭავჭავაძე იღვწოდა მშობელი მხარის სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის.

ამ სიტყვებით იხსნება თ. ღლონტის ნაშრომი „ილია ჭავჭავაძე და სოფლის მეურნეობა“, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ დასტამბა.

ირანიზებული ლექსი „წითელი სიცხის“ ავტორებს

ქართული დრამა
აიღო რაკი —
გადაიხადა
ბრძოლები დიდი.
არაბეთს უკვე
დაადო ხარკი,
დაიმორჩილა
ქვეყანა ჰინდის:
არ წაუგია
არცერთი ომი,
იციან მისი
ძალაც და ფასიც:
პარიზი, ვენა,
მოსკოვი, რომი,
მონღოლი, თურქი,
ბერძენი, სპარსი.
დაპყრობილი აქვს
ევროპა თითქმის,
ახიაც უნდა
დაეცეს მალე.
არავითარი
ნგრევა და სისხლი,
არავითარი
თოფი და ხმალი.
ბწკარებით, სიტყვით,
სტრიქონით, რითმით
იბრძვის, იმარჯვებს
ის „ვინმე მესხი“.
საქართველო კი
ამაყად ითვლის
ქვეყნებს აღებულს
ქართული ლექსით.

ნოდარ ჯალაღონია.

● ლექსის ჰონორარი გადაირიცხება რუსთაველის საზოგადოების ფონდში.

„კომუნისტის“ ფოტოკორესპონდენტი ალექსანდრ ბეგიჩევი ... ავტორის ფოტო.

მუსიკა

სწრაფვა სილამაზისკენ

დასრულდა თანამედროვე ქართული მუსიკის დღეები ლენინგრადში. სამი დღის განმავლობაში ეცნობოდა მსმენელი ქართველ კომპოზიტორთა ბოლო წლების ნაწარმოებებს (სულ წარმოდგენილი იყო 14 ავტორის ქმნილება) და ყოველი კონცერტიდან მათ თან მიჰყვებოდათ ის განუმეორებელი, ქართული სითბო, რომელიც სუფევდა საკონცერტო დარბაზებში. სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინგრადელმა კომპოზიტორმა ანდრეი პეტროვმა ასე შეაფასა ეს დღეები:

„ქართული მუსიკა ჯეშმარიტად აინტერესებს და აღელვებს დღევანდელ მსმენელს. ჩვენი სტუმრების ნაწარმოებები გამოირჩევა ყველა ქართველი კომპოზიტორისათვის დამახასიათებელი ნიშნით — სილამაზისკენ სწრაფვით. სამწუხაროდ, ჩვენ ეს გრძნობა დავკარგეთ და დღეს მოსმენილმა ნაწარმოებებმა ნათლად და გამომსახველად შეგვახსენეს ეს“.

პირველი კონცერტი დაეთმო ქართულ სიმფონიურ მუსიკას, რომელიც გლინკას სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა და აქ პირველ ნომრად შესრულდა ირაკლი გეჯაძის სიმფონია „ვარძია“, რომელიც ქართული კოლორიტით, ჰარმონიით გამოირჩევა. მელოდიურობით გამსჭვალულმა თემამ რეფრენით თავიდანვე გაანყო მსმენელი.

სსრ კავშირის სახალხო არტისტის ლიანა ისაკაძის თაყვანისმცემლებს საშუალება ჰქონდათ მოესმინათ მისი შთაგონებული შესრულებისათვის. ყოველი დეტალის ზუსტი ყურადღების მიგნებით მან სული შთაბერა ოთარ თაქთაქიშვილის № 2 სავიოლინო კონცერტს კამერული ორკესტრისათვის. ერთ ცოცხალ ორგანიზმად გაერთიანებულმა სოლისტმა და ლენინგრადის სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა თათრეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის რავილ მარტინოვის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ ააღორძინეს ეს ვირტუოზული ნაწარმოები.

მაღალი ოსტატობით შეასრულა ბიძინა კვირაძის ვოკალურ-სიმფონიური პოემა მეცო-სოპრანოსა და ორკესტრისათვის (ე. თათარაძის ლექსებსა და ზალხური პოეზიის ნიმუშებზე) საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა მანანა ეგაძემ. მომღერალმა შეძლო ამ თავშეკავებული ხასიათის ნაწარმოების ყოველი ფრაზისათვის გამოენახა ახალ-ახალი ემოციური შეფერილობანი.

სულხან ნასიძის მეხუთე სიმფონიას „ფიოლმანს“ დირიჟორობდა ირაკლი ჭიაურელი. გამოჩენილი ქართველი მხატვრის საინტერესო სახემ, ძველი თბილისის ყოფითი სცენების კოლორიტულმა მუსიკალურმა ჩანახატებმა გაამდიდრეს კონცერტის ბგერწერითი პალიტრა. მან მსმენელთა საერთო მოწონება დაიმსახურა.

მეორე საღამოს განსაკუთრებული და განუმეორებელი ატმოსფერო შეუქმნა რიმსკი-კორსაკოვის სახლ-მუზეუმმა. აქ გამართულ კამერული მუსიკის კონცერტზე აკადემიკოს მიხეილ ოძელის სიმფონიანი კვარტეტი, არჩილ ჩიმაკაძის სამი რომანსი, რომელიც გულში ჩამწვდომი ლირიზმით შეასრულა მომღერალმა თენგიზ ჩაჩავამ საქართველოს დამსახურებული არტისტის ვაჟა ჩაჩავას თანხლებით. მსმენელის განსაკუთრებული მოწონება ბვდა წილად ლილი შავერნაძვილის ვოკალურ ციკლს ხალხურ ლექსებზე „პოეტური ჩანახატები“. მარინე აბულაძის შესრულებით ეს ციკლი მკაფიო მთის კოლორიტით გამოირჩეოდა.

მეორე განყოფილებაში ასევე შესრულდა მზია ფიალკინაშვილის საფორტეპიანო სონატა (პიანისტი ნათელა კვირკველია) და ალექსანდრე შავერნაძვილის საფორტეპიანო ტრიო (ფორტეპიანო — გიორგი შავერნაძვილი, ვიოლინო — ლევან ჩხეიძე, ჩელო — რევაზ მაჩაბელი).

მესამე საღამო ისევ ქართულ კამერულ მუსიკას დაეთმო. საღამო გაიხსნა ახალგაზრდა კომპოზიტორის გ. შავერნაძვილის ახალი საფორტეპიანო სონატით. ნიკოლოზ გუდიაშვილის მეხუთე სიმფონიანი კვარტეტი (წინა საღამოს კი — მ. ოძელის კვარტეტი) შეასრულა საერთაშორისო კონკურსებისა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა საქმეცერადიოს სიმფონიმა კვარტეტმა ლ. ჩხეიძის, გ. ხინთიბაძის, ა. ხარაძისა და რ. მაჩაბლის შემადგენლობით.

მეორე განყოფილებაში კი ლენინგრადის კამერულმა ორკესტრმა რ. მარტინოვის ხელმძღვანელობით შეასრულა გერმანე ჯაფარიძის კამერული სიმფონია. შალვა დავიდოვის კონცერტის (კლარნეტისა და კამერული ორკესტრისათვის) წარმატება დიდად განსაზღვრა ახალგაზრდა ლენინგრადელი სოლისტის, ევგენი პოლიაკოვის ვირტუოზულმა ხელოვნებამ. კონცერტის დასასრულს ირაკლი ჭიაურელის დირიჟორობით შესრულდა ელიზბარ ლომდარიძის კონტრასტულ თემებზე აგებული შთამბეჭდავი კამერული სიმფონია.

სხვადასხვა სტილის, ჩანაფიქრისა და ჟღერადობის ნაწარმოებებმა დიდად დაინტერესა მსმენელი. ამის დასტური იყო ძს მხურვალე აპლოდისმენტები, რომლითაც აჯილდოებდნენ შემსრულებლებსა და ავტორებს.

ბოლო კონცერტი რომ დასრულდა, დირიჟორ რავილ მარტინოვს ვთხოვეთ გაეზიარებინა საერთო შთაბეჭდილება: „ჩვენ საინტერესო და მშვენიერი მუსიკა მოვისმინეთ. მე არ გამჭირვებია შემსრულებლებთან მუშაობა, რადგან ვგრძნობდი, რომ მათაც სიამოვნებდათ მისი შესრულება“.

გულთბილი მიღება, ლენინგრადის მუსიკალურმა საზოგადოებამ რომ გაუმართა, უთუოდ განაწყობს ქართველ კომპოზიტორებს ახალი მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნისათვის.

ნათელა გოგლიძე,
მუსიკათმცოდნე.

სპორტის ამბები

ჭადრაკი

ორი ტურნირი, ორი გამარჯვებული

თბილისი ერთდროულად დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა ორი საერთაშორისო ტურნირი — საფრანგეთის ფესტივალი და „ტალინი-89“. ორივე შეჯიბრება ქართველ სპორტსმენთა გამარჯვებით დამთავრდა. საფრანგეთის ტურნირში უძლიერესი იყო ქეთევან არახამია. მან ისევე, როგორც მსოფლიოს ექსჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა 8 ქულა მოაგროვა. მთავარი პრიზი ახალგაზრდა დიდოსტატმა მიიღო — ბას დღეისათვის უკეთესი კოეფიციენტი აქვს. ფესტივალში მონაწილეობდნენ ქუეა ვერეციპეტრონიჩი, ილდიკო მადლი (ორივე — უნგრეთი), ალისა მარიჩი, სუზანა მაქსიმოვიჩი (ორივე — იუგოსლავია), მარგარეტ ვოისკა (ბულგარეთი) და მსოფლიოს 12 ქვეყნის სხვა ცნობილი მოჭადრაკეები.

ტალინში გამარჯვებული ბოლო ტურმა გამოავლინა. ქეთევან კახიანმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი მარსელა ზოლმანოვა და 12 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მას ქულით ჩამორჩა ტალინელი ტატიანა ფომინა, მესამე იყო სარატოველი სვეტლანა პრუდნიკოვა — 10,5 ქულა.

ფეხბურთი

სეზონის სიახლეები

უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატი, როგორც ცნობილია, 11 მარტს იწყება, თუმცა ფეხბურთელები სეზონის პირველ ოფიციალურ მატჩებს 26 თებერვალს გამართავენ ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის თასის პროგრამით. ახალ სეზონთან დაკავშირებით საკავშირო სპორტსახლის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველოს უფროსმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა:

— ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ წლევანდელი სეზონის კალენდარი ადრინდელთან შედარებით მოწესრიგებული იქნება. ჯერ კიდევ შარშან, ნოემბერში, ხელთ გვქონდა საწყისი პროექტი, რომელიც გავუგზავნეთ მწვრთნელებს და გავითვალისწინეთ მათი შენიშვნები, კალენდარი მაშინ გამოვაქვეყნეთ, როცა საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ ის ყველას დააკმაყოფილებს.

კოლოსკოვი დეტალურად საუბრობს საფეხბურთო კავშირის შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აქ წამოჭრილ სიძნელეებზე. ინტერვიუში ნათქვამია, რომ კავშირის წესდების პროექტი ხელახლა მუშავდება, აპრილში უნდა გაიმართოს დამფუძნებელი კონფერენცია, რომელიც აირჩევს ხელმძღვანელ ორგანოს.

— უკვე დამტკიცდა საკავშირო ჩემპიონატის ახალი დებულება. მზად არის, აგრეთვე, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული სპეციალური დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სათანადო მატერიალურ კომპენსაციას ბავშვთა სპეციალიზებული სპორტული სკოლებისა და ინტერნატებისათვის. როცა ახალგაზრდა სპორტსმენი ხელს მოაწერს კლუბთან კონტრაქტს, კლუბი ვალდებული იქნება შესაბამის სპორტსკოლას თუ ინტერნატს გადაუხადოს დაწესებული თანხა. ასეთივე წესი გავრცელდება ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლისას. აი, მაგალითად, „ზენიტიდან“ მოსკოვის „დინამოში“ გადადის ისეთი კლასის ფეხბურთელი, როგორიცაა დიმიტრიევი. ამ შემთხვევაში, მოსკოველებმა „ზენიტს“ უნდა გადაურიცხონ დაახლოებით 50 ათასი მანეთი. ვიმედოვნებთ, რომ ასეთი წესის შემოღება ჩვენს ფეხბურთში დაამკვიდრებს სამართლიანობის პრინციპს, აამაღლებს ბავშვთა ფეხბურთში მომუშავე მწვრთნელთა დაინტერესებას. ახალი წესი, სხვათა შორის, კლუბისა და ნაკრები გუნდების ფინანსურ ურთიერთობასაც ითვალისწინებს.

წყალში ხტომა

გიორგი ჩოგოვაძის გენეფსისი

ორი შეჯიბრება ერთ ასპარეზობაში. ასე შეიძლება ვუწოდოთ თბილისში, ვაკის საცურაო აუზში გამართულ წყალში მხტომელთა საკავშირო ჩემპიონატს, რომლის პარალელურად სპორტსმენები გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზებისთვისაც იბრძოდნენ.

ეს შეჯიბრებები თბილისელი გიორგი ჩოგოვაძის ბენეფისით აღინიშნა. მან მოიპოვა თითქმის ყველაფერი, თუ კი რამ მოსაპოვებელი იყო. ჩოგოვაძე 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში უძლიერესი იყო როგორც გაზეთის პრიზისთვის მებრძოლთა შორის, ისე საკავშირო ჩემპიონატში. 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში მანვე გაიმარჯვა „კომსომოლკაზე“, 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, ვერცხლის მედალი დაიმსახურა. თბილისელებს ამდენი ჯილდო მანამდე არასოდეს მოუპოვებიათ.

— გიორგი ჩოგოვაძემ ამ შეჯიბრებაში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჭეშმარიტი მებრძოლის თვისებები აქვს, — გვეუბნება სსრ კავშირის წყალმხტომელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვალერი კრუტოვი, — მიუხედავად იმისა, რომ გიორგის ძირითადი სახეობა 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაა, მიზნად დასახა ტრამპლინზეც წარმატებით გამოსულიყო, თანაც როგორც გაზეთის პრიზზე, ისე ჩემპიონატში. ასეთი რთული ამოცანის გადაწყვეტა მხოლოდ მაღალი კლასის სპორტსმენებს ძალუძთ. მე, როგორც საკავშირო ნაკრების უფროს მწვრთნელს, განსაკუთრებით მახარებს ჩოგოვაძის მიღწევები ტრამპლინზე. სახალხოვნოა, რომ ჩოგოვაძეს ზურგს უმაგრებენ დიანა მჭედლიძე და ანა როსტიაშვილი. მათ მოპყვებიან ახალგაზრდა სპორტსმენები — 14 წლის ნანა ნებიერიძე და 15 წლის გოჩა გახარია. ნებიერიძე ესოდენ დიდი შეჯიბრების დებიუტანტი იყო — საქართველოს ჩემპიონი პირველად შარშან, წლის მიწურულს გახდა, ახლა კი, ლამის საკავშირო ჩემპიონატის ოთხ ფინალისტს შორის მოხვდა. გახარია საკავშირო უფრო მეტიც — აბსოლუტურად საუკეთესო შედეგის მიღწევისათვის მას სპეციალური პრიზიც გადაეცა.

საერთოდ, ამ შეჯიბრებაში მასპინძლები წარმატებით გამოვიდნენ. ერთ-და სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები მოიპოვა თბილისელმა დიანა მჭედლიძემ. მისი თანაგუნდელი ანა როსტიაშვილი 10-მეტრიანი კოშკიდან ასპარეზობაში მესამე იყო, როგორც გაზეთის პრიზზე ასპარეზობაში, ისე საკავშირო ჩემპიონატში.

წარმატებას მიაღწია კიდევ ერთმა თბილისელმა — გიორგი შელიუგოვმა, რომელმაც „კომსომოლკაზე“, 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, ვერცხლის მედალი დაიმსახურა. თბილისელებს ამდენი ჯილდო მანამდე არასოდეს მოუპოვებიათ.



ჩემპიონატში მეორედ მონაწილეობდა და ნახევარფინალამდე მიაღწია. იგი შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად დაწინაურებულა.

— ამ შეჯიბრებაში ნებიერიძის, გახარიასა და სხვა ნორჩი სპორტსმენების მონაწილეობით, მიზნად ვისახავდით ახალგაზრდული საკავშირო სპორტული თამაშებისთვის უკეთ მომზადებას, — ამბობს საქართველოს წყალმხტომელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი იური გუტიაკელოვი — ვფიქრობ, აღიარებულ ლიდერებთან შებრძოლება ჩვენს ნორჩ წყალმხტომელებს დიდად წაადგებათ. მახარებს მათი წარმატებები. ამ ეტაპზე განსაკუთრებით სახიხარულოა ჩოგოვაძის გამარჯვება. მან უფლება მოიპოვა ამ გაზაფხულზე ციურიხში, ევროპის თასის გათამაშებაზე საბჭოთა ნაკრების ღირსება დაიცვას როგორც კოშკიდან, ისე ტრამპლინიდან ხტომაში.

ნათელა ხოშტარია,

სურათზე: გიორგი ჩოგოვაძე.
ავტორის ფოტო.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

ტელევიზია—სამშაბათი, 14 თებერვალი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — აბიტურიენტებისათვის. ქიმია. 14.20 — „ათლეტიზმი“. 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პალიასტომის ტბა“. 16.10 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.20 — ქართული ენის ტელეკურსი. 16.50 — „საერთაშორისო დღიური“ (გამეორება). 17.25 — შეისწავლოთ ინგლისური ენა. 17.55 — მოსწავლეთათვის. „მეგობრობის კონცერტი“. 18.55 — განცხადებები. 19.00 — „თუ კაცი გონიერია“. სოფელი ჩქეალერი. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — „ახალგაზრდობა“. სატელევიზიო პროგრამა. 21.30 — კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — ქართული მხატვრული ფილმი „სინემა“.

მეორე პროგრამა. 10.05 — სატელევიზიო დადგმა „მკვდარი სულები“. I-II ნაწილი. 12.40 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 14.20 — „ათლეტიზმი“. 14.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რამდენიმე სურათი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან“.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — ფილმ-ოპერა „ბორის გოდუნოვი“. 11.35 — ახალი ამბები. 11.45 — „ეს იყო... იყო...“. 12.00 — საბავშვო საათი. 13.00 — „კონცერტი მუზეუმში“ რუსულ ხალხურ საკრავთა კვარტეტის მონაწილეობით. 16.30 — ახალი ამბები. 16.45 — მუსიკალური საგაძღური. ბეთჰოვენისა და შოპენის ნაწარმოებებს ასრულებს ა. ნასედკინი (ფორტეპიანო). 17.40 — სოფლის ჰორიზონტები. დოკუმენტური ფილმები. 18.10 — ახალი ამბები. 18.15 — ბავშვთა ხმების ტელეკონკურსი „გუნდი პლუს ჩვენ“. 19.00 — მეცნიერება: თეორია, ექსპერიმენტი, პრაქტიკა. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ძალაუფლება — საბჭოებს. 20.30 — მულტფილმი დიდებისათვის. 20.40 — პოეზიის წუთები. 20.45 — ა. ცაგარელი. „ხანუმა“. ლენინგრადის მ. გორკის სახელობის აკადემიური დიდი დრამატული თეატრის ფილმ-სპექტაკლი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — ფილმ-სპექტაკლ „ხანუმას“ გაგრძელება. 24.00 — დღეს მსოფლიოში. 0.15 — აქტუალური ობიექტივი. „ამოირჩიე!“. დოკუმენტური ტელეფილმი სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მეგობრობასა და ურთიერთდახმარებაზე.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი „სანამ თავისუფლებით ვინვით...“ 9.35 და 10.35 — ოჯახური ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 10.05 და 12.05 — ფრანგული ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ისტორია. 11.35 და 12.35 — მუსიკა. V კლასი. 13.05 — მხატვრული ტელეფილმი „გრძელი გზა დიუნებში“. VI სერია. 14.15 — ახალი ამბები. 14.20 — რიტმული ტანვარჯიში. 18.00 — გადაცემათა პროგრამა. 18.05 — მხატვრული ტელეფილმი „გრძელი გზა დიუნებში“. VII სერია. 19.15 — ახალი ამბები. 19.25 — მოძრაობა უსაფრთხო. 19.30 — კალათბურთი. თასის მფლობელთა თასი. ვაფები. ნახევარფინალი. „ულგირისი“ — „სნაიდერო“ (იტალია). შესვენებისას (20.10) — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — ვ. ა. მოცარტი — საკონცერტო არია მომღერლის, კამერული ორკესტრისა და ფორტეპიანოსათვის. 21.30 — რიტმული ტანვარჯიში. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — ცენტრალური ტელევიზიის ფონდებიდან. მხატვრული ტელეფილმი „გრძელი გზა დიუნებში“. VII სერია. 24.00 — „დილის ფოსტა“ (განმეორებით). 0.30 — ახალი ამბები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 УЭ 10355 საქართველოს კპ ცკ-ის ბაზმოცეულობის ეროვნის ეროვნული დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საკავშირო კორპუსი, ბოშარაულის 20 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14